# ალია

## რატომ ამცირებს „პერმესი“ დაკრძალვის ხარჯებს



N151/3081/14 ოქტომბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

## რამ გადააწყვეტინა ცნობილ ექსპერტს, კახა კახიშვილს „ციხეების სამინისტროში“ მუშაობა?

და რა პირობას აძლევს „ალიას“



## რატომ არ შეხვდა ღარიბაშვილი გია კორკოტაშვილს?

გია კორკოტაშვილი:
„იმის გამო, რომ ფიალა აივსო ქართველ ხალხში, ნაგავი უნდა გაიხვეტოს!!!“



# შსს-მ ადამიანის გატაცებაზე სოდ-ისა და კუდ-ის ყოფილი თანამშრომლები დააკავა

## რატომ აქტიურდება „სახალხო კრება“ და რას ცვლის თავის შემადგენლობაში



## მთავრობის საქმიანობის რეიტინგი

რას ამბობენ ხელისუფლებაში კვლევის შედეგებზე



## შსს-მ ადამიანის გატაცებაზე სოდ-ისა და კუდ-ის ყოფილი თანამშრომლები დააკავა


იოსებ გიორხელიძე

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის მთავარი სამმართველოსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა კომპლექსური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის, ანუ კუდ-ის ყოფილი თანამშრომლები, 1962 წელს დაბადებული დურმიშხან ღვაჩლიანი, 1977 წელს დაბადებული ჯემალ შონია, ასევე 1983 წელს დაბადებული ალექსანდრე ჭანტურია და 1978 წელს დაბადებული გიორგი ქალდანი ანგარებით, ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა დაგეგმეს და განახორციელეს რამინ გიორხელიძის შვილის, იოსებ გიორხელიძის გატაცება. 10 ოქტომბერს ჯემალ შონიამ და გიორგი ქალდანმა მოტყუებით შეაღწიეს გიორხელიძის სახლში, იარაღის მუქარით გამოიყვანეს სახლიდან იოსებ გიორხელიძე, რომელსაც ფულის გამოძალვის მიზნით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს. გამტაცებლები იმავე დღეს დაუკავშირდნენ რამინ გიორხელიძეს და შვილის განთავისუფლების სანაცვლოდ 300 000 აშშ დოლარი მოსთხოვეს. რამინ გიორხელიძემ სამართალდამცველებს მიმართა.

სამართალდამცველებმა ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 12-13 ოქტომბერს ჯემალ შონია და ალექსანდრე ჭანტურია – თბილისში, ხოლო დურმიშხან ღვარჩლიანი დაბა წყნეთში და გიორგი ქალდანი სოფელ არმაზში დააკავეს. გიორგი ქალდანის პირადი ჩხრეკისას „ტეტე“-ს სისტემის პისტოლეტი, ვაზნები და 10 000 დოლარი ამოიღეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე მიმდინარეობს.


როინ გიორხელიძე

გატაცებული იოსებ გიორხელიძე პირველ კომენტარს აკეთებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მადლობას უხდის:

„მეხუთე დღეს პოლიციამ გადამარჩინა, ყველა გამტაცებელი დაკავებულია. დიდ მადლობას ვუხდი შინაგან საქმეთა სამინისტროს, თითოეულ თანამშრომელს, მინისტრს. დიდი მადლობა, რომ დავუბრუნდი ჩემს ოჯახს ჯანმრთელი და საღ-სალამათი“, – აცხადებს გიორხელიძე.

როინ გიორხელიძე შვილის გატაცების დღეს იხსენებს. მოკლე კომენტარში გიორხელიძე დეტალებზე არ საუბრობს, თუმცა ჰყვება, რომ მან დახმარება პირადად შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვა. (ნიუპოსტი)

## პრეზიდენტის უფლებამოსილება კიდევ უფრო იზღუდება



„უშიშროების საბჭოს შესახებ“ მომზადებული კანონპროექტის თანახმად, პრეზიდენტის უფლებამოსილება კიდევ უფრო იზღუდება. პარლამენტი კანონპროექტის განხილვას უახლოეს მომავალში დაიწყებს.

ცვლილებების მიხედვით, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მთელი რიგი უფლებამოსილებები პრეზიდენტიდან მთავრობის კომპეტენციაში გადადის.

მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტების პაკეტში შეტანილია „თავდაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტს მთავრობა მოამზადებს და წარუდგენს პარლამენტს, მოქმედი კანონმდებლობით კი ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა.

როგორც ამასთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობაში აცხადებენ, „ცვლილებას კანონში არა რომელიმე პირი, არამედ კონსტიტუცია განაპირობებს“.

იმ ფაქტს, რომ კანონპროექტის ახალი ვერსიით პრეზიდენტის უფლებამოსილება იზღუდება, ადასტურებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე, რომლის აზრით, „პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვა ძველი რედაქციით მინიჭებულმა უსაზღვრო თავისუფლებამ გამოიწვია“.

ხმალაძის აზრით, უშიშროების საბჭოს ახალი რედაქცია კონსტიტუციასთან სრულ შესაბამისობაშია. (ფრონტნიუსი)

## მთავარ პროკურატურას მოქალაქის სასარგებლოდ თანხის გადახდა დაევალა



საქართველოს პროკურატურას სასამართლომ მოქალაქისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, ფულადი კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

„სენაკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით, ი.ზ.-ს მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო. აღნიშნული დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, საია-ს ოფისის დახმარებით, მოქალაქემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა, რომელშიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის გამო, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა“, – აცხადებენ საია-ს ქუთაისის ფილიალში.

მოსარჩელის მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს მთავარ პროკურატურას მოქალაქისთვის მატერიალური ზიანის სახით 2 700 ლარის, ხოლო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 2 300 ლარის გადახდა დაეკისრა. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## „ზედელაშვილს მივმართავ პირადად! ეს ჟურნალია, კინოს ახლა ვიწყებ... ჭიკაიძეც არ დაგრჩებათ უწყებაში ისეთ არქივს ამოგიყრით!“



ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს, რომ სოდ-ის ყოფილ თანამშრომელს დააწერინეს ჩვენება ირაკლიზე. ამის შესახებ ირაკლი კოდუას თავად სოდ-ის ყოფილმა თანამშრომელმა უთხრა და მოუბოდიშა, რომ მასზე განხორციელებულ ზეწოლას ვერ გაუძლო. ჟორჟოლიანი მის ვინაობას არ ასახელებს, თუმცა წერს, რომ მას დაწერილ ჩვენებაზე მოაწერინეს ხელი. ჟორჟოლიანი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართავს, რომ, თუ აინტერესებთ, ვინ ჩაუდო იარაღი თენგიზ გუნავას, ერისთავსა და სხვებს, მან იცის და ჩვენების მისაცემად მზადყოფნას გამოთქვამს.

„სოდ-ის ყოფილ თანამშრომელს დააწერინეს ჩვენება ირაკლიზე. სამეგრელოს თანამშრომელია:) გვარი ვიცი, ბუნებრივია, უბრალოდ, რადგან ბოდიში შეუთვალა ირაკლის (ზეწოლას ვერ გავუძელიო. არც ვიცი, რა დაწერეს, უბრალოდ ხელი მომაწერინესო), საჯაროდ არ ვწერ:) ეს არაფერი, ეს საქმე ზუსტად იცით ისეთივე ბლეფი აღმოჩნდება, როგორც პირობა 100 ქარხანა, გაზრდილი პენსიები და ასე შემდეგ, მაგრამ მე სხვა კითხვა მაქვს. ორი წლის წინ მომხდარი საზარელი მკვლელობა ვერ გამოიძიეთ, რაფალიანცის ბავშვი ბატკნად რომ შესწირეთ გამარჯვებას და ამ 6-7-8 წლის წინ მომხდარ ფაქტებს როგორ იძიებთ. მეორე კითხვაც მაქვს! ჩადებები გაინტერესებთ?! ხო და გვითხარით, ვინ ჩაუდო გუნავას, ერისთავს ვინ ჩაუდო, იქნებ ისიც გვითხათ და თუ ვერ ადგენთ, მე გეტყვით! ვიცი და დამკითხეთ! და ზედელაშვილს მივმართავ პირადად! ჩადებები გაინტერესებს? ხო და გამოიძიე შენმა ძმაკაცმა, სოდ-ის ყოფილმა უფროსმა დევი ჭელიძემ რეები აკეთა მისი უფროსობის დროს?! თქვენ ხომ ორმაგი სტანდარტების პრეზიდენტები ხართ! ეს ჟურნალია! კინოს აწი ვიწყებ! ჭიკაიძეც არ დაგრჩებათ უწყებაში, ისეთ არქივს ამოგიყრით! თალიბანას ისტორიას 26 მაისის არქივით დავიწყებ! შოუ გინდოდათ? შოუს მიიღებთ:),“ – წერს ჟორჟოლიანი.

„ფეისბუკ-პოსტს“ თან ახლავს კომენტარებიც. ერთ-ერთ კომენტარში ნანუკა ჟორჟოლიანი წერს, „სოზარ სუბარის ციხის ამბებით დავიწყებ! გარნირად მიგიდებთ ზედელას, ჯანყარას, მირზოევს და სხვებს! არ მინდოდა ეს, ღმერთმა იცის! აწი მიყურეთ! მე თქვენ მოგცემთ დისკრედიტაციისთვის დადგმულ შოუს!“ – წერს ნანუკა ჟორჟოლიანი. (პირველი რადიო)

## იაპონია საქართველოს სახელწოდებას შეუცვლის



იაპონიის ხელისუფლება ამიერიდან ოფიციალურ დოკუმენტებში საქართველოს „ჯორჯიად“ მოიხსენიებს. აქამდე იაპონიის ოფიციალურ დოკუმენტებში საქართველოს „გურუძიას“ უწოდებდნენ, ხოლო სახელწოდების შეცვლა თბილისის შესაბამისი თხოვნის შემდეგ გადაწყვიტეს.

შეგახსენებთ, რომ 2009 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ იაპონიაში ვიზიტისას მიმართა ოფიციალურ ტოკიოს თხოვნით, საქართველოს „ჯორჯია“ უწოდოს.

თავდაპირველად იაპონიის ხელისუფლებამ მიმართვის განხილვაზე უარი თქვა და საკუთარი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ სახელწოდების გადარქმევა გაურკვევლობას გამოიწვევდა, რადგან „ჯორჯიას“ აშშ-ის შტატსაც უწოდებენ.

იაპონელი დეპუტატები ამ საკითხს მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ დაუბრუნდნენ.

როგორც მოსალოდნელია, საქართველოსთვის სახელის გადარქმევის საკითხს იაპონიის პარლამენტი საშემოდგომო სესიის დასრულებამდე განიხილავს. (ფრონტნიუსი)

## „მოდულის“ შენობასთან აქცია გაიმართა



მოქალაქე კახა შპეტიშვილის ოჯახის წვერებმა უფლებადამცველებთან ერთად ე.წ. „მოდულის“ შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს.

ოჯახის წევრების განცხადებით, პოლიციელებმა შპეტიშვილს ნარკოტიკი ჩაუდეს და ამას ისიც მოწმობს, რომ ჩატარებულმა ექსპერტიზამ ავტომანქანიდან ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებაზე ბრალდებულის თითის ანაბეჭდები ვერ აღმოაჩინა.

მათივე თქმით, დაკავებამდე ერთი თვის განმავლობაში შპეტიშვილს პირადად ემუქრებოდა ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონში არსებული პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელი გიორგი მუჯირიშვილი და მისგან უბანში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაკავებით ემუქრებოდა.

როგორც ბრალდებულის დედა აცხადებს, მსგავს მეთოდებს მუჯირიშვილი ხშირად მიმართავს და მიუხედავად უამრავი განცხადებისა, რეაგირება არ მომხდარა.

დედის თქმით, მუჯირიშვილს პირადად შს მინისტრი მფარველობს. აღნიშნულ ფაქტს შს სამინისტროში არ ადასტურებენ.

შპეტიშვილი ამჟამად გირაოს სანაცვლოდ არის განთავისუფლებული. სასამართლო პროცესი 20 ოქტომბრისთვის ჩაინიშნა. (ფრონტნიუსი)

## პატიმარ პერტაიას საქმეს ადამიანის უფლებათა კომიტეტი შეისწავლის



პატიმარ რუსლან პერტაიას საქმეს ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტი შეისწავლის. ეკა ბესელიას განცხადებით:

„ამ დღეებში ოჯახის წევრებთან მექნება შეხვედრა და უფრო დეტალურად მოვისმენთ, უფლებების რა ტიპის დარღვევას ჰქონდა ადგილი. ბუნებრივია, კომიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში სამართლებრივ რეაგირებას მოახდენს“, – განაცხადა ბესელიამ.

ქუთაისის მეორე იზოლატორში მყოფი პატიმარი უკვე 47-ე დღეა, მისი საქმის გადახედვის მოთხოვნით შიმშილობს. რუსლან პერტაიას თვალები და პირი აქვს ამოკერილი. მას საკვები დაკავების დღიდან არ მოუღია და აცხადებს, რომ მისი დაპატიმრება ერთ-ერთი ადგილობრივის – პოლიციის მაღალჩინოსნის ინტერესებში შედიოდა. პროტესტის ნიშნად საპატიმროს შენობის წინ პერტაიას ორმა შვილმა ხელები მიიჭედა, ისინი ადგილზე ეკა ბესელიას მისვლასა და საქმის დეტალების გადახედვას ითხოვდნენ.

ცნობისთვის, პერტაია სამართალდამცველებმა თხილის ქურდობაზე 2008 წელს დააკავეს. (ფრონტნიუსი)



# რამ გადააწყვეტინა ცნობილ ექსპერტს, კახა კახიშვილს „ციხეების სამინისტროში“ მუშაობა?

## და რა პირობას აძლევს ,,ალიას“

ჟურნალისტებმა დავკარგეთ პროფესიონალი ექსპერტი, ხელისუფლებამ კი შეიძინა პროფესიონალი საჯარო მოხელე, „საარჩევნო პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“ კახა კახიშვილი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა. „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კახიშვილის ფიგურა წითელ ზოლად გასდევდა ყოველ ახალ საკადრო ცვლილებას, მას ქრონიკულად მოიაზრებდა საზოგადოება მთავარი პროკურორის პოსტზე, თუმცა პოლიტიკური კულუარებიდან გვესმოდა, რომ კახა კახიშვილი იყო დამოუკიდებელი, პრინციპული და უმართავი, ამიტომაც პოლიტიკური ისტებლიშმენტი მის ადგილს ვერ ხედავდა მთავარი პროკურორის პოსტზე.

კახიშვილი ერთ-ერთ ურთულეს სისტემაში გადაამისამართეს. ვნახოთ, როგორ გაუძლვება ის ამ სირთულეებს და რა შედეგს დადებს. კახიშვილი საჯარო სამსახურში არასამთავრობო სექტორიდან გადადის. სასჯელაღსრულების მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა გიგა გიორგაძეს ეკავა. პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც გიორგაძე უწყების ყოფილმა ხელმძღვანელმა სოზარ სუბარმა დევნილთა სამინისტროში გადაიყვანა.

სასჯელაღსრულების მინისტრი გიორგი მღებრიშვილი და მისი პირველი მოადგილე, ერთმანეთს დიდი ხანია იცნობენ, ისინი კურსელები და მეგობრები არიან, რაც თანამშრომლობისთვის ერთი დიდი პლუსია, მღებრიშვილმა ყველაზე სანდო ადამიანი დაიყენა გვერდით, იმ უწყებაში, სადაც „ნაციონალებს“ ფესვები აქვთ გამდგარი, მათ ჰყავთ თავის „ნასედკები“, ამრევები, „თავისი“ პატიმრები, ახალაია, მერაბიშვილი, უგულავა... თავის დროზე მათ შექმნეს სისტემა, რომელმაც სისასტიკით ცივილიზებული სამყარო გააოგნა. დღეს, პროკურატურას, შსს-სა და სასჯელაღსრულების სამინისტროს მსოფლიო გამადიდებელი შუშით აკვირდება, თუ როგორია მათდამი მიდგომა, ირღვევა თუ არა ადამიანის უფლებები, არიან თუ პოლიტიკური პატიმრები და ა.შ. ის კრიტიკული ჩანაწერები, რომლებიც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაშია გაკეთებული, სწორედ პატიმრობაში მყოფ ახალაიას, უგულავასა და მერაბიშვილს უკავშირდება. სულ მალე შესაძლოა, ევროპარლამენტმა ისინი პოლიტიკურ პატიმრებად აღიაროს. ყოფილი მალალჩინოსნების სამართლებრივი საქმეების შესახებ, ღარიბაშვილი განცხადებას აკეთებს: „დღეს საზოგადოებას ჭკუას ასწავლის ბოკერია, სიცრუის გამხმოვანებელი ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში ატყუებდა მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას. რაც ხდებოდა სააკაშვილის დროს – ლენინისდროინდელი მეთოდებით პატიმრების წამება, გაუპატიურება, ამ ყველაფრის შეფუთვა ევალებოდა ბოკერიას. ეს ადამიანები დღეს ებრძვიან სახელმწიფოს, მოსახლეობას და აკეთებენ იმას, რასაც წლების განმავლობაში. ორი წლის წინათ, პირველ ოქტომბერს მოსახლეობამ განაჩენი გამოუტანა „ნაციონალურ მოძრაობას“. ისინი დღითი დღე ახდენენ საკუთარი თავის მარგინალიზებას, მოსახლეობაში თესენ სიძულვილს, აგრესიას და ძალიან რთული იქნება მათი ინტეგრირება საზოგადოებაში. მე მათ მოვუწოდებ, შეწყვიტონ საკუთარი სახელმწიფოსა და ხალხის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლა. ეს არის მავნებლური საქმიანობა, რითაც ისინი სახელმწიფოს აზიანებენ “.

**„უგულავას წერილად“ ცნობილ უსტარში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ სამოქმედო გეგმაში ციხის ბუნტია. კახიშვილი 2004 წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ უკვე მუშაობდა. ბოლო ხანს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მრჩეველმა, ლალი მოროშკინამ ხელისუფლებას კახიშვილის დანიშვნა არაერთხელ ურჩია. მისი წინადადება გაითვალისწინეს თუ მღებრიშვილის, ჯერ უცნობია, მაგრამ ფაქტია — კახიშვილი პირველ მოადგილედ დაინიშნა. რას დაუპირისპირებს მღებრიშვილ-კახიშვილის ტანდემი „ნაცპარტიზანებს“?**

**ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „ალიას“ კითხვებს სასჯელაღსრულების მინისტრის პირველი მოადგილე, კახა კახიშვილი უპასუხებს:**

**— სასჯელაღსრულების სისტემის დაუძინებელი კრიტიკოსი რა ცვლილებებს გეგმავს უწყებაში, როგორ აპირებს ამ სისტემის რეფორმირებას?**

– რეალურად ეს არის უმძიმესი სფერო. სიმართლე რომ ვთქვა, ერთი პერიოდი დეპრესიაშიც კი ვიყავი, სანამ აქ მოსვლის თაობაზე გადაწყვეტილებას მივიღებდი, ვინაიდან ვიცი, რა სისტემაა. მეორე მხრივ, ვიფიქრე, თუ შენ არ შეიტანე შენი წვლილი რაღაც რეფორმაში, მხოლოდ საუბარი დიდხანს ვერ გაგრძელდება. მინდა მინისტრთან, მთავრობის გუნდთან ერთად განვახორციელო რეფორმა და ერთხელ და სამუდამოდ მივიღოთ ევროპული ტიპის პენიტენციალური დაწესებულება. სიღრმისეული რეფორმაა ჩასატარებელი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ყველა სისტემის

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

**,,არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ეს გახლავთ ინფორმაციის მოპოვება. მოგეხსენებათ, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მუშაობს უსაფრთხოების სამსახური, რომელიც სიტუაციას ბოლომდე მაინცდამაინც ვერ ფლობს, რადგანაც ბაზები კონკრეტულ პატიმრებთან დაკავშირებით არ არსებობს, ვინ ვისთან იყო კონფლიქტში და ა.შ. ამიტომ შეიქმნება ერთი დიდი ანალიტიკური სამსახური, ამავდროულად უსაფრთხოების სამსახური მოიპოვებს ინფორმაციას, ხოლო ანალიტიკური სამსახური დაამუშავებს ინფორმაციას, რასაც მიეცემა შესაბამისი მსვლელობა და დამუშავების შემდეგ, შეიქმნება ბაზები, რომ ერთხელ და სამუდამოდ თავიდან ავიცილოთ კონფლიქტური სიტუაციები“**

**,,მე ვიყავი ის ადამიანი, რომელიც თვლიდა, რომ ეს სამინისტრო საერთოდ გასაუქმებელია, რადგან ისეთი სამინისტრო, რომელიც ვერ აკონტროლებს ორ დეპარტამენტს, არ არის საჭირო. ძალიან ძვირი უჯდებოდა ქვეყნის ბიუჯეტს ამ სამინისტროს შენახვა. თქვენ წარმოიდგინეთ, სამინისტრო იყო წარმოდგენილი ქუდის სახით, სადაც იყო მთელი აპარატი, მაგრამ ამ აპარატის ვერც ერთი თანამშრომელი, თავის მინისტრიანად, ვერ არკვევდა, რა ხდებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, რისთვის იყო საჭირო ასეთი სამინისტრო. ამიტომაც გამიკრიტიკებია. რეფორმის შედეგად ზუსტად ესაა დაგეგმილი, რომ სამინისტრომ აიღოს მართვის ბერკეტები და თუ ვერ მოახერხებს, მაშინაც ვიტყვი, რომ სამინისტრო გასაუქმებელია“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### 1 246 821 ლარს თაღლითურად ითვისებდნენ



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა თაღლითობის ფაქტი აღკვეთა. უწყების თანამშრომლებმა „საქართველოს ეროვნული ბანკის“ კუთვნილი თანხების მითვისებისთვის ერთი პირი მისცეს პასუხისგებაში. შპს „პაულ შურელ უნდ ირაო გრუპის“ დირექტორს გიორგი მაღრაძეს, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ეროვნული ბანკის კუთვნილი დიდი ოდენობის თანხის უკანონოდ დაუფლება ედება ბრალად.

გამოძიების მიხედვით, მაღრაძემ „ეროვნულ ბანკსა“ და კომპანია „პაულ შურელ უნდ ირაო გრუპს“ შორის სამშენებლო სამუშაოების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, დამკვეთს მიაწოდა შესრულებული სამუშაოს ყალბი აქტები, სადაც სამუშაოების მოცულობა და ღირებულება ხელოვნურად იყო გაზრდილი. ამ ფინანსური მაქინაციით ის თაღლითურად დაეუფლა საქართველოს ეროვნული ბანკის კუთვნილ 1 246 821 ლარს.

ფაქტზე გამოძიება გრძელდება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

### სოციალურად დაუცველებმა ფოთში გზა გადაკეტეს




ფოთის „გეზთან“ მისასვლელი გზა გადაკეტილი იყო. საპროტესტო აქცია ყოფილი სასწავლო ცენტრის შენობაში მცხოვრებმა სოციალურად დაუცველებმა და დევნილებმა გამართეს, რადგან, მათი თქმით, უკვე თვეზე მეტია, ელექტროენერგია არ მიეწოდებათ.

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ცენტრალური ხელისუფლებისგან ფოთის მერიაში მივიდა ბრძანება ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენაზე, თუმცა „ენერგო-პრო ჯორჯია“ ამ გადაწყვეტილებას არ ემორჩილება.

კომპანიის წარმომადგენლები კი განმარტავენ, რომ შენობა კერძო საკუთრებაა და მისი კანონიერი მფლობელის ნებართვის გარეშე ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენის უფლება უკანონო ქმედება იქნება.

„კომპანიას არ აქვს უფლება, მეპატრონის ნებართვის გარეშე მიაწოდოს ელექტროენერგია აღნიშნულ შენობას, ამიტომ როცა შენობის მეპატრონე მოგვწერს და დაგვიდასტურებს თავის მზადყოფნას და ექნება სურვილი, რომ მივაწოდოთ ელექტროენერგია, კომპანია მზად არის, შესაბამისი სამუშაოები დაიწყოს“, – განმარტა „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ავთო დვალიშვილმა. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

დროს იყო სამინისტრო სამინისტროში. 2008 წელს ორი დეპარტამენტი გამოეყო იუსტიციის სამინისტროს – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სახით, ამის ბაზაზე შეიქმნა ერთი სამინისტრო, მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე დეპარტამენტიანი სამინისტრო იყო შექმნილი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ინარჩუნებდა ავტონომიურობას, რაც ნიშნავს იმას, რომ მას ჰქონდა დამოუკიდებელი ბიუჯეტი, ფაქტობრივად, მინისტრთან შეუთანხმებლად შეეძლო მართვა როგორც ფინანსების, ისე ადამიანური რესურსების. ამიტომ, ეს წარმოადგენდა სამინისტროს ძირითადად პოლიტიკურ კუდს, სადაც მინისტრი იყო პოლიტიკური ფიგურა და ხშირ შემთხვევაში მინისტრმა არ იცოდა იმ პროცესების შესახებ, რაც ხდებოდა სასჯელაღსრულების დაპარტამენტში, ვინაიდან სისტემა იძლეოდა ამის საშუალებას. რეფორმის ნაწილი იქნება, პირველ რიგში, ერთიანი ბიუჯეტის შექმნა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს გაუუქმდება საკუთარი ბიუჯეტი, შეიქმნება სამინისტროში ერთი მთლიანი ბიუჯეტი, სასჯელაღსრულების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსს დაკარგავს, რიგითი დეპარტამენტის სახით შემოუერთდება სამინისტროს, ვინაიდან პასუხისმგებლობა გვაქვს ჩვენ, მართვაც ჩვენ უნდა შევძლოთ. მეორე მხრივ, იქნება რესოციალიზაციაზე ფიქრი, თქვენ იცით, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროში მუშაობს სოციალური სამსახური, მაგრამ ამ სისტემის თანამშრომლები არიან ოფიცრები, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ სამოქალაქო პირებმა უნდა იტვირთონ პასუხისმგებლობა, პატიმრებთან რესოციალიზაციის საკითხებზე მუშაობა, ამიტომ იქნებიან სამოქალაქო პირები. ამავდროულად სასწავლო ცენტრის ბაზაზე შეიქმნება სპეციალური კურსები, მსურველებს მიეცემათ საშუალება, გაიარონ რამდენიმეთვიანი სწავლება და მიიღონ შესაბამისი ცოდნა იმ პირებთან ურთიერთობის, რომლებიც იმყოფებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ეს არის ძალიან სენსიტიური თემა, ჩემთვის გაუგებარია, მაგალითად, როგორ შეიძლება ადამიანი, რომელიც მუშაობდა პოლიციაში, გადამზადების გარეშე მოვიდეს და ამ სისტემაში დაიწყოს მუშაობა, რადგან სულ სხვა პასუხისმგებლობა და სხვა მიდგომებია საჭირო, ამიტომ ჩვენ ზუსტად ამ კურსების შექმნაზე ვიმუშავებთ, ყველა თანამშრომელი იქნება აყვანილი მხოლოდ და მხოლოდ კონკურსის შედეგად და იქნება რამდენიმესაფეხურიანი კონკურსი. ამ კონკურსში გამარჯვების შემდეგ, ადამიანი მიევლინება სასწავლო ცენტრში, სადაც მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს, შესაბამისი ანაზღაურების მიხედვით და თანამდებობრივი წინსვლის პერსპექტივით. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ეს გახლავთ ინფორმაციის მოპოვება. მოგეხსენებათ, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მუშაობს უსაფრთხოების სამსახური, რომელიც სიტუაციას ბოლომდე მაინცდამაინც ვერ ფლობს, რადგანაც ბაზები კონკრეტულ პატიმრებთან დაკავშირებით არ არსებობს, ვინ ვისთან იყო კონფლიქტში და ა.შ. ამიტომ, შეიქმნება ერთი დიდი ანალიტიკური სამსახური, ამავდროულად უსაფრთხოების სამსახური მოიპოვებს ინფორმაციას, ხოლო ანალიტიკური სამსახური დაამუშავებს ინფორმაციას, რასაც მიეცემა შესაბამისი მსვლელობა და დამუშავების შემდეგ, შეიქმნება ბაზები, რომ ერთხელ და სამუდამოდ თავიდან ავიცილოთ კონფლიქტური სიტუაციები. რა თქმა უნდა, საუბარი არ არის იმაზე, რომ ჩვენ ვიზრუნებთ საპატიმრო დაწესებულებაში სამუშაო ადგილების შექმნაზე, საწარმოების შექმნას ვგულისხმობ.

**— სახელმწიფო უწყებები ითხოვენ დაფინანსების გაზრდას, სასჯელაღსრულების სამინისტრო უერთდება ამ მოთხოვნას?**

– დაფინანსების გაზრდაზე საუბარი არ არის, რადგან ჩვენ დაფინანსებას მაინცდამაინც არ ვუჩივივართ, მაგრამ იმ კუთხით, რომ პატიმრებს ჰქონდეთ რეალურად ნორმალური პირობები, ვფიქრობ, დღევანდელი ბიუჯეტითაც შევძლებთ ამის გაკეთებას...



**„მაყურებლების“ ინსტიტუტი არის ჩვეულებრივი მოვლენა, როგორც ზოგიერთი პარტია ფიქრობს ხელისუფლებაში დაბრუნებას, ასევე ქურდული ტრადიციის მატარებლები ფიქრობენ ბერკეტების ხელში აღებას, ისინი თვლიან, რომ მათი დრო დადგა, მაგრამ ეს არის მირაჟი“**

**— თქვენ აცხადებდით, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრო გასაუქმებელი იყო. დღესაც ასე ფიქრობთ?**

– დიახ, მე ვიყავი ის ადამიანი, რომელიც თვლიდა, რომ ეს სამინისტრო საერთოდ გასაუქმებელია, რადგან ისეთი სამინისტრო, რომელიც ვერ აკონტროლებს ორ დეპარტამენტს, არ არის საჭირო. ძალიან ძვირი უჯდებოდა ქვეყნის ბიუჯეტს ამ სამინისტროს შენახვა. თქვენ წარმოიდგინეთ, სამინისტრო იყო წარმოდგენილი ქუდის სახით, სადაც იყო მთელი აპარატი, მაგრამ ამ აპარატის ვერც ერთი თანამშრომელი, თავის მინისტრიანად, ვერ არკვევდა, რა ხდებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, რისთვის იყო საჭიროა ასეთი სამინისტრო. ამიტომაც გამიკრიტიკებია, რეფორმის შედეგად ზუსტად ესაა დაგეგმილი, რომ სამინისტრომ აიღოს მართვის ბერკეტები და თუ ვერ მოახერხებს, მაშინაც ვიტყვი, რომ სამინისტრო გასაუქმებელია.

**„პირი, რომელიც სასჯელაღსრულების სამინისტროში დაინიშნება და იქნება სამხრეების ქვეშ, ვერანაირად ვერ იქნება პარტიის წევრი და ამავდროულად, რომელიმე პარტიის გულშემატკივრობა არ იქნება კრიტერიუმი პირის სამსახურიდან განთავისუფლებისთვის ან მიღებისთვის, მაგრამ თუ კონკრეტულად რომელიმე თანამშრომელს გამოუვლინდა მყარი მტკიცებულება, რომ რაღაც დროის განმავლობაში ან დანაშაულს სჩადიოდა, ან მის საქმიანობაში იყო პრობლემა, ეს რეაგირების გარეშე ნამდვილად არ დარჩება“**

**— ასევე, ხელისუფლებას მუდმივად საყვედურობდით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ჩანერგილი კადრებითაა სავსე სახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის სასჯელაღსრულების სამინისტრო. როგორ აპირებთ მათ გაცხრილვას, დაითხოვთ სამსახურიდან?**

– როგორც უკვე გითხარით, იქმნება სასწავლო ცენტრი, იქმნება სპეციალური პროგრამები, რომლებიც გამოავლენს, ვის მიეცემა საშუალება სისტემაში მუშაობისა. დღეს სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელი არ არის გათანაბრებული შს სამინისტროს თანამშრომლებთანაც კი. აქედან გამომდინარე, ის ითვლება არაპრესტიჟულად. არ მიმდინარეობს ჩვენი თანამშრომლების სოციალური დაცვა, დაბალია პრესტიჟი, ამიტომ ჩვენ გავათანაბრებთ პოლიციის თანამშრომლის სოციალური დაცვის კრიტერიუმებთან, ამ სამსახურის თანამშრომლის კრიტერიუმებს, იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა, ამავდროულად იქნება მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება ევროპული პენიტენციალური დეპარტამენტის სტანდარტებს და არა იმ პოსტკომუნისტურ გადმონაშთს, რომელიც დღესაც გვაქვს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სახით.

**— „ნაციონალების“ ჩანერგილ კადრებს როგორ შეებრძოლებით?**

– პირი, რომელიც დაინიშნება სასჯელაღსრულების სამინისტროში და იქნება სამხრეების ქვეშ, ის ვერანაირად ვერ იქნება პარტიის წევრი და ამავდროულად, რომელიმე პარტიის გულშემატკივრობა არ იქნება კრიტერიუმი პირის სამსახურიდან განთავისუფლება ან მიღებისთვის, მაგრამ, თუ კონკრეტულად რომელიმე თანამშრომელს გამოუვლინდა მყარი მტკიცებულება, რომ რაღაც დროის განმავლობაში ან დანაშაულს სჩადიოდა, ან მის საქმიანობაში იყო პრობლემა, ეს რეაგირების გარეშე ნამდვილად არ დარჩება.

**— ჩვენ გვახსოვს, სოზარ სუბარმა სპეციალური შემოწმება ჩაატარა და ამოიღო ფარული ვიდეოკამერები, აპირებთ თუ არა რევიზიის განხორციელებას?**

– კამერები იქნება იქ, სადაც ამის საჭიროებაა, ამავდროულად იქნება პატიმარი გაფრთხილებული, რომ მას აკვირდებიან, ფარული კამერები არსად არ იქნება დამონტაჟებული.

**— „ნაციონალური მოძრაობის“ უკანასკნელმა მინისტრმა გიორგი ტუღუშმა განაცხადა, რომ საინფორმაციო ბაზა სასჯელაღსრულების სამინისტროში განადგურებული დახვდა, აპირებთ თუ არა მოიძიოთ ამ ბაზის ასავალ-დასავალი?..**

– რა თქმა უნდა, დავინტერესდები, არა მხოლოდ ბაზის მოპოვებით, არამედ იმით, ვინ გაანადგურა ეს ბაზა. ეს არის დროის საკითხი, მე ახლა მზად არ ვარ სიღრმისეულად მოგახსენოთ, რა ვითარებაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს შესწავლის საგანია...

**— ერთ-ერთი მწვავე და მტკივნეული, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდება, არის „მაყურებლის“ ინსტიტუტი, რომელმაც „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში კვლავ მოიკიდა ფეხი. როგორ შეებრძოლებით ამ მავნე გამოვლინებას და „ნაციონალების“ ე.წ. „ქათმებსა“ და „მამლებს“, რომლებიც „ნაცების“ დატკაცუნებაზე სიტუაციას ძაბავენ ციხეებში?**

– „მაყურებლების“ ინსტიტუტი არის ჩვეულებრივი მოვლენა, როგორც ზოგიერთი პარტია ფიქრობს ხელისუფლებაში დაბრუნებას, ასევე ქურდული ტრადიციის მატარებლები ფიქრობენ ბერკეტების ხელში აღებას, ისინი თვლიან, რომ მათი დრო დადგა, მაგრამ ეს არის მირაჟი, რა თქმა უნდა, ის ხისტი მიდგომები, რაც „ნაცმოძრაობას“ ჰქონდა, წარმოუდგენელიც არის, რომ ამ სისტემაში დაინერგოს, მაგრამ მეორეა, რომ პატიმარი დაემორჩილება რეჟიმს, რომელიც დადგენილია ამ დაწესებულებაში, თუმცა ამავდროულად, პატიმარზე იზრუნებს სახელმწიფო. ეს არ იქნება ცალმხრივი პროცესი, ჩვენ ვიზრუნებთ პატიმრებზე, ამავდროულად პატიმარს ექნება ვალდებულება, დაემორჩილოს იმ რეჟიმს, რა რეჟიმიც იქნება დაწესებულებაში. შეღავათები არავის არ ექნება, არც ქურდული ტრადიციის მატარებლებს. მე მესმის მათი, მათ აქვთ მცდელობა ამ ბერკეტების ხელში აღების, ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა, ამის მცდელობა აქვთ ყველგან, მსოფლიოში თქვენ თუ გადახედავთ პრაქტიკას, ზოგ ადგილას მათ „კოზა ნოსტრა“ ჰქვია, ზოგ ადგილას „იაკუძა“. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შევძლებთ, კომპლექსურად ამას წინ აღვუდგეთ, რეფორმის გატარების შედეგად თავისთავად ბევრი პრობლემა მოიხსნება, ბერკეტები გამოეცლებათ და სურვილიც გაუქრებათ.

**— თუკი ბაჩანა ახალაიამ, ივანე მერაბიშვილმა და გიგი უგულავამ მოინდომა თქვენთან შეხვედრა, თქვენ მათ მოინახულებთ?**

– რა თქმა უნდა, არა მხოლოდ გიგის, ბაჩანასა და ვანოს, პეტრესაც შევხვდები, პავლესაც, თუ მათ ამის სურვილი ექნებათ, მე არ ვარ სადის კურატორი, მაგრამ ნებისმიერი პატიმრის უფლებების დაცვაზე, რა თქმა უნდა, ვიზრუნებ.

**— სამწუხაროდ, ჩვენ დავკარგეთ კარგი რესპონდენტი, იმედია, სახეს არ დაკარგავთ და ჟურნალისტებისთვის კვლავ გახსნილი იქნებით...**

– გპირდებით, რომ ჩემი მხრიდან არანაირი პრობლემა არ შეიქმნება, თქვენ კარგად იცით, რომ თანამდებობა არის დროებითი, ვეცდები, სახე არ დავკარგო, ზუსტად ვიცი, რომ ეს არ მოხდება.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სოციალურად დაუცველმა პირმა თავის დაწვა სცადა



გვიან ღამით ხმაური იყო ზღვის უბნის მეორე მიკრორაიონში. სოციალურად დაუცველი მოქალაქეები საცხოვრებელი კორპუსებიდან მათ გამოსახლებას აპროტესტებენ. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რამდენიმე ბრიგადა.

სოციალურად დაუცველი მოქალაქეები ფართების დატოვებას არ აპირებენ. ადგილზე რამდენიმე ინციდენტიც მოხდა. სოციალურად დაუცველმა რამდენიმე მოქალაქემ თვითმკვლელობა სცადა, ერთ-ერთი მათგანი თავის დაწვას აპირებდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პარლამენტი „საგადასახადო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების განხილვას იწყებს




ფინანსთა სამინისტროს მიერ საგადასახადო კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებზე დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრები იმსჯელებენ.

ჩამოწერას დაექვემდებარება 2005 წლის პირველ იანვრამდე წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანება, თუ გადამხდელს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება.

მომზადებული ცვლილებების მიხედვით, ჩამოიწერება საკონტროლო სალარო-აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის ფიზიკური პირისთვის 2013 წლის პირველ იანვრამდე დაკისრებული, დარიცხული და გადაუხდელი ჯარიმა. საგადასახადო დავალიანების გადახდა გადავადდება მათთვის, ვისი საგადასახადო დავალიანების თანხა არ აღემატება 5 000 ლარს.

პროექტის თანახმად, შიდა გადამუშავებაში მოქცეული საქონლის გადამუშავებისთვის გაწეული მომსახურება დამატებული ღირებულების გადასახადისგან თავისუფლდება. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რატომ აქტიურდება „სახალხო კრება" და რას ცვლის თავის შემადგენლობაში

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე საზოგადოებრივი მოძრაობა „სახალხო კრება" ანგარიშგასაწევი ძალა იყო. მის ლიდერებს არაერთხელ შეხვდა ბიძინა ივანიშვილი და რამდენიმეს „გადაბირებაც" მოახერხა (სოსო ჯაჭვლიანი, ლუკა კურტანიძე). ბატონ ბიძინას სურდა, პარლამენტში სხვებიც ეხილა (გია ბურჯანაძე, ნონა გაფრინდაშვილი), მაგრამ მათ უარი თქვეს. არჩევნების შემდეგ, ზუსტად ორი წლის განმავლობაში „სახალხო კრება" დუმილის რეჟიმს ინარჩუნებდა, ხელისუფლებას დრო მისცა, მაგრამ როგორც მისი ერთ-ერთი ლიდერი, **თემურ შაშიაშვილი** ამბობს „ალიასთან" საუბარში, ეს დრო ამოიწურა.

**ამ დღეებში უკვე ჩატარდა აღმასრულებელი საბჭოს სხდომა, სადაც კონკრეტულად დაისვა საკითხი „სახალხო კრების" გააქტიურებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ:**

**— ბატონო თემურ, იქიდან გამომდინარე, რომ „სახალხო კრება" 2012 წლამდე ნამდვილად არ იყო ხელწამოსაკრავი ძალა, საინტერესოა, რას აპირებთ, კონკრეტულად რა საკითხებზე ისაუბრეთ აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე?**

– „სახალხო კრებამ" იცის, როდის არის ბრძოლა საჭირო და როდის უნდა დაწყნარდეს. როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური პარტიები მოკვდნენ, მან ხელში აიღო ინიციატივა, ხოლო არჩევნების დროს მათ დაუთმო პოლიტიკური ასპარეზი. დღეს „სახალხო კრებაში" არის ასეთი განწყობა: უკვე მოქმედების დროა. ასეთი მოქმედების დრო არ იყო 2010-2011 წლებშიც კი. მე შემიძლია, საამისო არგუმენტებიც მოვიყვანო.

**— დიახ, საინტერესოა არგუმენტები, დეტალები და გეგმა.**

– „სახალხო კრება" არის ავტორიტეტების კრებული: ელიზბარ ჯაველიძე, გია ბურჯანაძე, ნონა გაფრინდაშვილი, რეზო ესაძე და სხვები. ამ ადამიანებს არ უნდათ თანამდებობები. ეს რომ დიდი პოტენციალია ქვეყნისთვის, ვერავინ ვერ უარყოფს. მე ამჯერად ჩამოვთვლი იმ საშიშ სიმპტომებს, რის გამოც საჭიროა ავტორიტეტების გააქტიურება: პირველი – უკვე ცხადია, რომ ორივე პოლიტიკურ ძალას, რომელთა წარმომადგენლებიც პარლამენტში სხედან, ჰყავს ერთი პატრონი, ვექტორი არ იცვლება. ეს ხდება მაშინ, როცა მრავალვექტორულმა აზერბაიჯანმა პრაქტიკულად კავკასია აიღო. თუ ადრე სააკაშვილი მოქმედებდა ვილაცის ჯინაზე, ახლაც

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

# ყველა სიმართლე დირსის მშენებლობის შესახებ

სამწუხარო რეალობაა, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს, ვაღიაროთ, რომ საქართველოს ბაზარზე შემოსული ნებისმიერი უცხოური კომპანია, უცხოური ინვესტიცია, ყოველთვის იწვევს მითქმა-მოთქმას, ყოვლად უსაფუძვლო ჭორებისა და მითების გავრცელებას, რაც გარკვეულწილად, კომპანიის პრესტიჟზე უარყოფითად შესაძლოა, მოქმედებს, მაგრამ ისიც ფაქტია — არც ჩვენს საზოგადოებაზე ტოვებს საუკეთესო შთაბეჭდილებას.

შესაბამისად, საზოგადოებას მხედველობიდან არ გამორჩენია თბილისში ყველა დიდი სამშენებლო კომპლექსის მშენებლობა. დირსის სახელით ცნობილ უბანს უკვე ორი წელია, რაც აზერბაიჯანული საინვესტიციო ჰოლდინგი „ეი ეს გრუპ ინვესტმენტი" აშენებს.

ის, რომ დირსი მართლაც უნიკალური, მასშტაბური და შთამბეჭდავი პროექტია, ამაში, ალბათ, ყველა თანხმდება, ვისაც მშენებარე კომპლექსისთვის თვალი შორიდან მაინც შეუვლია. აი, მისი უშუალოდ დათვალიერებისას, პროექტის უშუალოდ გაცნობისას კი, ყოველგვარი ეჭვი წამიერად ქარწყლდება — ჩვენი დედაქალაქის განვითარების მიმართულებით წინ მართლაც უპრეცედენტო ნაბიჯები იდგმება.

**ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რა უნდა მოვუხერხოთ იმ მითქმა-მოთქმასა და მითებს, რომელიც „დირსის" მშენებლობასა და კომპანიის მუშაობას, სამწუხაროდ, თან ახლავს? პრინციპში, საქმე არც ისე რთულადაა, რადგან ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი არსებობს, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.**



**მითი №1 — ნაგავსაყრელი**

რამდენადაც ცნობილია, დირსი ქალაქის ისტორიულ ნაწილში მდინარე მტკვარსა და ჩოლოყაშვილის ქუჩას შორის 46 ჰექტარ მიწაზე შენდება. ძველმა თაობამ კარგად იცის, რომ აქ, ორთაჭალის მსგავსად, მე-20 საუკუნეში დირსიჭალის ბაღები იყო გაშენებული. თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბაღები გაიჩეხა და ტერიტორია სამშენებლო მასალების ნაგავსაყრელად გადაკეთდა. მითები და მითქმა-მოთქმაც სწორედ აქედან გაჩნდა, თითქოს იქაურობა მომავალი მობინადრეების ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის.

ბუნებრივია, ნაგავსაყრელზე საცხოვრებელი კორპუსების აშენება საშიში და საფრთხის შემცველია, თუმცა აქ ერთი მომენტია აუცილებლად გასათვალისწინებელი – ტერიტორიაზე, სადაც დირსი შენდება, მართლაც ფუნქციონირებდა ნაგავსაყრელი, ოღონდაც ტექნიკური ნაგავსაყრელი. იგულისხმება საშენი მასალები, ანუ ზოგადად, ისეთი პროდუქტი, რომელიც ლპობას არ იწვევს და არ აბინძურებს ნიადაგს, გარემოს და შესაბამისად, ყოვლად უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისთვისაც.

კომპანია „ეი ეს გრუპ ინვესტმენტმა" მოსამზადებელი სამუშაოების პირველ ეტაპზე აღნიშნული ტერიტორიის ლაბორატორიული გამოკვლევა ჩაატარა და ყველა სადავო საკითხზე დადებითი პასუხის შემდეგ დაიწყო მშენებლობა. პირველი ნაბიჯი სწორედ ძველი ნიადაგის გატანა და ტერიტორიის დასუფთავება იყო. კომპანიამ 7-დან 11 მეტრამდე სიმაღლის მიწა მოჭრა და შენობების საძირკველი კლდოვან საფარამდე დაიყვანა. ტერიტორიის შესწავლა მთლიანობაში რამდენიმე ეტაპად, შემდეგი თანმიმდევრობით განხორციელდა:

პირველ ეტაპზე, სავარაუდო სეისმიკისა და ქანების გადაადგილების არეალის განსასაზღვრად ნიადაგის კვლევა ჩატარდა. დოკუმენტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის მიერ მომზადდა. აღნიშნული კვლევის საფუძველზე დაიდო გეოლოგიური დასკვნა, რომლის მიხედვითაც უბნის საძირკველი უშუალოდ მატერიკულ ქანებზე დაისხა.

მეორე ეტაპი ტერიტორიაზე წყლის შემოწმება იყო. ღრმულის გაკეთების შემდეგ საძირკველის ქვაბულში შემოვიდა წყალი და არა – რაიმე სხვა ნაერთი. ექსპერტიზის ბიურომ წყლის სინჯი აიღო და მასში ყოველგვარი მავნე ნივთიერების არსებობა გამორიცხა.

ტერიტორიის კვლევის ბოლო ეტაპი – გარემოზე ზემოქმედების დასკვნის მომზადებას უკავშირდებოდა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამშენებლო პროცესი გარემო ეკოლოგიურ ვითარებას არათუ ხელს შეუშლიდა, არამედ – გააუმჯობესებდა. ვინაიდან, პროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია, საერთო ჯამში, 25 ჰექტარი ფართობის გამწვანება. ეს მოცულობა კი, სამჯერ აღემატება ქალაქის მერიის მიერ დადგენილ ნორმებს.

დირსის საცხოვრებელი გარემოსა და კორპუსების სანდოობას მშენებლობის მაღალი სტანდარტები და უახლესი ტექნოლოგიები განსაზღვრავს. დირსის უბანში თბილისის ყველაზე მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსებია განლაგებული, რომელთა სიმაღლე 26 სართულსაც კი აღწევს. დირსის მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობა ტუნელური ყალიბის ტექნოლოგიით მიმდინარეობს, რაც მშენებლობის ხარისხსა და სისწრაფეს განაპირობებს. აღნიშნული ძვირადღირებული ტექნოლოგიის დანერგვა საქართველოში პირველად „ას გრუპ ინვესტმენტმა" განახორციელა. დირსის შენობები მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციაა, რომელიც კლდოვან საფარამდეა დაყვანილი, რაც მის მაღალ სეისმომედეგობას განაპირობებს. მთლიანობაში დირსის სახლები 9 ბალამდე მიწისძვრაზეა გათვლილი, შესაბამისად, თბილისის ახალი უბანი ცხოვრებისთვის ყველაზე სანდო ადგილად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

**მითი №2 — დირსი აზერბაიჯანელებისთვის შენდება**

იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დირსის მშენებელი – „ას ჯორჯია" აზერბაიჯანული ჰოლდინგის „ეი ეს გრუპ ინვესტმენტის" შვილობილი კომპანიაა, გაჩნდა მორიგი მითი, თითქოს დირსი, ეთნიკური აზერბაიჯანელებისთვის შენდება.

კი, ბატონო, ნებისმიერ ვერსიასა და მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ რეალობა, იცით, როგორია? სინამდვილეში, „დირსის უბანში ბინა ეროვნებით აზერბაიჯანელ 4-5 ოჯახს აქვს შეძენილი, რისი გადამოწმებაც ნებისმიერ მსურველს ძალიან მარტივად შეუძლია.

მოდით, საკითხი ასე დავსვათ: კომპლექსი დაახლოებით 20 ათას ადამიანზეა გათვლილი. ახლა გავიხსენოთ თბილისის ნებისმიერი უბანი, სადაც 20 ათასი ადამიანით დასახლებულ ტერიტორიაზე მინიმუმ 10 აზერბაიჯანული ოჯახი მაინც არ ცხოვრობდეს.

კომპანიის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, გავარკვევთ, რომ დირსის მომავალი მობინადრეების თითქმის 50 პროცენტს საქართველოდან წასული ემიგრანტები შეადგენს, რომელთა ნაწილი ამჟამად ცხოვრობს საბერძნეთში, საფრანგეთში, იტალიაში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. აღნიშნული სეგმენტისთვის უკვე კარგად არის ცნობილი ის უპირატესობები და ბენეფიტები, რაც ინფრასტრუქტურით მოწყობილ საცხოვრებელ გარემოს ახასიათებს. მათ იციან განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების ფონზე, რას ნიშნავს კომფორტი, როცა ხელის ერთ გაწოდებაზე გაქვს ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო ყველა სოციო-კომერციული ინფრასტრუქტურული ობიექტი.

**მითი №3 — მშენებლობაზე მხოლოდ აზერბაიჯანელებს ასაქმებენ**

ეს მითიც ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული და არასწორ ინფორმაციასთან რომ გვაქვს საქმე, ვინც დაინტერესდება მართლაც მარტივად დაადგენს – საამისოდ საკმარისია მხოლოდ კომპლექსის ტერიტორიაზე მოხვედრა და იქ მომუშავე ადამიანებთან გასაუბრება. დირსი ყველაზე მასშტაბური პროექტი იმ მიზეზის გათვალისწინებითაც არის, რომ მშენებლობაზე 1200-მდე ადამიანია დასაქმებული. მათთვის სამშენებლო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებულია სასტუმრო, სასადილო, აქვთ 4-ჯერადი კვება და დაზღვევა.

**მითი №4 — მტკვრის უსიამოვნო სუნი, მწერები და ასე შემდეგ**

სამწუხაროდ, მტკვრის სისუფთავე ცნობილი მიზეზების გამო რომ მოწოდების სიმაღლეზე ვერ არის, არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. შესაბამისად, ბევრი ამტკიცებს, რომ დირსის უბნის მობინადრეებს უსიამოვნო სუნი და მწერები შეაწუხებს. რა თქმა უნდა, ესეც მითია!

დავიწყოთ იმით, რომ ვისაც ზოოლოგიის წიგნი ერთხელ მაინც გადაუშლია, უნდა ახსოვდეს, რომ, ჩვეულებრივ, აბეზარი მწერები, მათ შორის, რა თქმა უნდა, კოღოებიც, ჭაობებში მრავლდებიან. ჰოდა, იქიდან გამომდინარე, რომ მტკვარი საკმაოდ დიდი და „ენერგიული" მდინარეა, არ აქვს დაჭაობებული ნაპირები და ასე შემდეგ, შესაბამისად, კოღოების რაოდენობა დირსის უბანშიც იგივეა, რაც თბილისის ნებისმიერ სხვა უბანში.

რაც შეეხება უსიამოვნო სუნს – მოგეხსენებათ, დირსის უბანთან ძალიან ახლოსაა ორთაჭალის ჰესი, ასევე, შავნაბადას მთები, რის შედეგადაც მუდმივი ინსოლაცია და მუდმივი ვენტილაცია მიიღწევა.

**მითი №5 — დირსის მშენებლობა აღარ გაგრძელდება**

კომპანია აქტიურად აანონსებს, რომ კომპლექსის საზეიმო გახსნა მიმდინარე წლის ნოემბერშია დაგეგმილი. აქედან გამომდინარე, გაჩნდა უსაფუძვლო ვარაუდი, თითქოს უკვე დასრულებული 11 კორპუსის შემდეგ, დარჩენილი 9 კორპუსი, სავაჭრო ცენტრი და სასტუმრო აღარ თუ ვეღარ აშენდება...

2012 წელს, როდესაც დირსის უბნის მშენებლობა დაიწყო, ბევრი ვერ იჯერებდა, რომ ასეთი მასშტაბური პროექტი წარმატებით განხორციელდებოდა. დღეს სიტუაცია ასეთია – 11 კორპუსი უკვე მზად არის და ელის მობინადრეებს, ხოლო დარჩენილი 9 კორპუსი და მთელი ინფრასტრუქტურა, რომელსაც ულამაზესი პროექტი მოიცავს, ზუსტად დათქმულ ვადებში – 2016 წლის ბოლოსთვის დასრულდება, რაშიც საზოგადოება თავად დარწმუნდება. მეტიც, კომპანიას კიდევ არაერთი ბრწყინვალე გეგმა აქვს და ეტაპობრივად, ამის შესახებაც ყველაფერს შეიტყობთ.

**დაბოლოს, ყველაფერი რომ შევაჯამოთ, დირსის უბანთან დაკავშირებული მითები იმედი გვაქვს, გავაქარწყლეთ, თუმცა ყველაზე უკეთ კითხვებზე ამომწურავ პასუხებს დრო გაგვცემს და საზოგადოება სულ მალე თავადვე დარწმუნდება, რამდენად მნიშვნელოვანია დირსის უბნის მშენებლობა ჩვენი დედაქალაქის განვითარებისთვის.**

*მეხუთე გვერდიდან*

ვილაცის ჯინაზე ვმოქმედებთ; მეორე – ვისგანაც დღეს ესენი იმართებიან, იმას უნდა, რომ საქართველო გახდეს ორპარტიული. ესე იგი, ჩვენ უნდა შევეგუოთ ერთ რამეს – დღეს არის „ოცნება“, ხვალ ისევ დაბრუნდება „ნაცმოძრაობა“, მერე ისევ იქნება „ოცნება“ და ასე შემდეგ. ამერიკული მოდელი ჩვენთანაც მოდის მოქმედებაში, მე არ ვიცი, ბიძინა ივანიშვილს ეს როგორ უკარნახეს გარედან, მაგრამ ფაქტია, საქართველო გაათითოკაცეს, ვართ დაპირისპირებულ მდგომარეობაში და მიდის ბრძოლა სკამებისთვის. ვინც ყველაზე დიდი ქამელეონი იყო, ყველა შეძვრა პარლამენტში. ბიძინა ივანიშვილი მაინც ბოლმის კაცია, ამას პირველად ვამბობ, სამომავლოდ უფრო მეტს ვიტყვი. თუ აქამდე ქართულ პოლიტიკას ემოცია მართავდა, ახლა უკვე ბოლმა შემოეპარა. ვის მიმართაც ბატონ ბიძინას ბოლმა აქვს, შეიძლება ის გასრისონ, ვინც არ უნდა იყოს და რაოდენ საჭიროც არ უნდა იყოს ქვეყნისთვის. ამ ბოლმამ კიდევ უფრო წამოსწია წინა პლანზე პირადი ერთგულება. ასეთი რამ არც შევარდნაძის პოლიტიკას აკლდა და არც სააკაშვილის მმართველობის დროს იყო უცხო ხილი – თუ იყავი სააკაშვილის ერთგული, ესე იგი, იყავი ყველაფერი. ბიძინა ივანიშვილმა ეს ფაქტორი უკან კი არა, წინ წასწია. ჩვენ თავის დროზე ვამბობდით, რომ გიორგი მარგველაშვილი იყო არარაობა, მაგრამ ივანიშვილმა აქცია ფიგურად. ჩვენ გვგონია, თითქოს მარტივი პროცესი მიდის, როდესაც მისი „რჩეული“ სააკაშვილის მიერ აშენებულ სასახლეში შევიდა, დაიბოლმა და ყველამ ჩაწიხვლა დაუწყო. ეს ქვეყნისთვის უკვე უბედურებაა. როგორ ფიქრობთ, ეს არ არის საშიში სიმპტომი? მესამე – დღეს ამ პატარა ქვეყანაში ერთი კაცის ხელშია პოლიტიკა და კაპიტალი. ერთი შეხედვით, ივანიშვილი გასულია გვერდზე, თითქოს არაფერი არ აინტერესებს, მაგრამ სინამდვილეში თვითონ მართავს ყველაფერს; მეოთხე – ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი არამხოლოდ შლეგია, არამხოლოდ თავხედია, არამხოლოდ საეჭვო სექტებთან არის დაკავშირებული, ის უკვე საჭირო ხდება საქართველოში მავანთათვის, ამერიკის ხელისუფლებისთვის, რუსეთისთვის, ევროპაში გარკვეული პოლიტიკური წრეებისთვის. ამერიკულმა და ევროპულმა პოლიტიკურმა წრეებმა სააკაშვილის დროს უფრო აკეთეს დიდი ფული, ვიდრე ახლა აკეთებენ; მეხუთე – საქართველოში სოკოებივით იზრდება არასამთავრობო ორგანიზაციები, მოდის კოლოსალური თანხები. ფული შეაქვთ ახალგაზრდულ წრეებში და ურეცხავენ ტვინებს. როგორ გგონიათ, ეს არ არის საშიში სიმპტომი და წინაპირობა იმისა, რომ „სახალხო კრება“ უნდა გააქტიურდეს?



**„ვინც ყველაზე დიდი ქამელეონი იყო, ყველა შეძვრა პარლამენტში. ბიძინა ივანიშვილი მაინც ბოლმის კაცია, ამას პირველად ვამბობ, სამომავლოდ უფრო მეტს ვიტყვი. თუ აქამდე ქართულ პოლიტიკას ემოცია მართავდა, ახლა უკვე ბოლმა შემოეპარა. ვის მიმართაც ბატონ ბიძინას ბოლმა აქვს, შეიძლება ის გასრისონ, ვინც არ უნდა იყოს და რაოდენ საჭიროც არ უნდა იყოს ქვეყნისთვის“**

**— ბატონო თემურ, რა სურათიც ახლა დამიხატეთ, ამ სიტუაციაში რას გააკეთებს „სახალხო კრება“? აქვე მინდა გითხრათ, რომ 2012 წლამდე საქართველოში სხვანაირი პოლიტიკური სიტუაცია იყო, ყველა ფიქრობდა „ნაციონალების“ მოშორებაზე. კონკრეტულად მითხარით, რა მიზნები გაქვთ?**

– დიახ, დღეს ნამდვილად არ არის მარტივი სიტუაცია და ამიტომაც დავიწყეთ დისკუსია „სახალხო კრების“ შიგნით. ჩვენ ჯერ კარგად უნდა წარმოვიდგინოთ, რა მდგომარეობაში ვართ. ჩვენ გვყავს ჭკვიანი ხალხი, მაგრამ ახლებსაც მოვუხმეთ და დავიწყეთ კონსულტაციები.

**— ანუ ახალი წევრების მიღებაზეა საუბარი?**

– რა თქმა უნდა, ახალ წევრებს მივიღებთ, ხოლო ვისაც გასვლა უნდა „კრებიდან“ უნდა გავიდეს. ჩვენ გვქონდა პოზიცია – ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე, ამას არ უნდა ვუღალატოთ. დღეს ამას ბევრი სხვანაირად უყურებს, მაგრამ, ალბათ, მივალთ შეთანხმებამდე.

**— „სახალხო კრებიდან“ გასვლაზეც არის ლაპარაკი?**

– არა, არა, შეიძლება ხვალ ვილაცა გამოვიდეს და თქვას, „სახალხო კრებაში“ ყოფნა აღარ მინდაო. ადრე „ნაცმოძრაობა“ ცდილობდა ჩვენს რიგებში არეულობის შემოტანას, მოვიდა „ოცნება“ და ორი წევრი წაიყვანა. ამით ჩვენი რიგები დასუსტდა. სხვათა შორის, „სახალხო კრებაში“ ისინი უფრო მეტის გამკეთებლები იყვნენ, ვიდრე იქ, სადაც დღეს არიან. მათ ბევრჯერ ეწყინათ ჩემი გამონათქვამები, მაგრამ დრომ დაადასტურა, რომ მართალი ვიყავი. როგორც კი „სახალხო კრება“ გააქტიურდება, ისევ დაიწყება ასეთი რალაცები, გადაბირებისა და არეულობის მცდელობები.

**— რომელ ახალ წევრებზეა ლაპარაკი, ვერ დამისახელებთ?**

– ასეთი ძალიან ბევრია, მაგრამ არ მინდა, წინასწარ გვარები დავასახელო, ჯერ კონსულტაციები გვაქვს. უახლოეს ხანში, მაქსიმუმ ერთ თვეში „სახალხო კრება“ გამოაცხადებს, რომ უკვე მოქმედების დროა.

**— თქვენთან არის ვინმე, რომ ამბობს, მოქმედების დრო არ არისო?**

– ამაზე მიდის დისკუსია, ჩვენ ვერ გამოვალთ მხოლოდ ცარიელი სიტყვებით, საჭიროა გარკვეული სტრატეგია. მაგალითად, ამ დღეებში ვიყავი სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტში, საოცრად კარგი რექტორი ჰყავდათ, ვახტანგ ფრუიძე, მისი იუბილე აღნიშნეს. შევხვდი ადამიანებს, სოფელზე ისეთი პროექტები აქვთ, ისეთი წინადადებები, გაოგნებული დავრჩი, როგორ შეიძლება, გყავდეს ასეთი აზროვნების მეცნიერები და გიჭირდეს? მეორე მაგალითი: 12 ოქტომბერს ჯანო კახიძის მუსიკალურ ცენტრში გაიმართა ანსამბლ „რუსთავის“ განახლებული კონცერტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ანზორ ერქომაიშვილი. იყო დაახლოებით 1000 კაცი, შესრულდა 4 აფხაზური სიმღერა, ხალხი ტიროდა. არ მოვიდა არც ერთი ტელევიზია, არ მოვიდა არავინ ხელისუფლებიდან. კონცერტს უამრავი უცხოელი ესწრებოდა, საოცარი რეაქცია ჰქონდათ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ისევ უგულებელყოფილია ყველაფერი, ძალიან ცნობილი ადამიანები ვნახე, რომლებიც ამბობენ: ბიჭო, „ოცნების“ გვერდით ვიდექით, ფეხით შემოვიარეთ 2012 წელს მთელი საქართველო, ახლა აღარავის ვახსოვართო. ეგ კი არა, მერიის ეგიდით ჩატარდა და მერიიდან ერთი რიგითი თანამშრომელიც კი არ მოვიდა. სანამ ინტელექტის დაფასება არ დაიწყება, სანამ განათლებული ადამიანი არ დაფასდება, სანამ დაქცეული განათლების სისტემა არ აღორძინდება, არაფერი არ გამოვა. შეიძლება, „სახალხო კრებამ“ ის მოითმინოს, რაც ხდება უმაღლეს სასწავლებლებში? არ არის ეს ის სწავლა, რაც ადრე იყო.



**„ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი არა მხოლოდ შლეგია, არა მხოლოდ თავხედია, არა მხოლოდ საეჭვო სექტებთან არის დაკავშირებული, ის უკვე საჭირო ხდება საქართველოში მავანთათვის, ამერიკის ხელისუფლებისთვის, რუსეთისთვის, ევროპაში გარკვეული პოლიტიკური წრეებისთვის“**

**— ბატონო თემურ, როგორც ვატყობ, „სახალხო კრებას“ ძალიან დიდი პრეტენზიები ექნება ხელისუფლებასთან.**

– მე რაც ჩამოვთვალე, ეგ პრეტენზიები გვაქვს, მაგრამ არავის არ ვუპირისპირდებით. ჩვენ ჩამოვყალიბდებით და სტრატეგიას გავაცნობთ ხალხს. ამაზე საუბარი შიგნით არ გვქონია, მაგრამ მე პირადად ისიც სასაცილოდ მეჩვენება, როცა წერენ ან ამბობენ, პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი კარგია, მაგრამ გარემოცვა არ უვარგაო. ეს დიდი შეურაცხყოფაა, მე გუბერნატორი ვიყავი და ვინმეს რომ ეთქვა, შენ კარგი ხარ, გარშემო კი ყველა ცუდი გყავსო.



**„ჩვენ თავის დროზე ვამბობდით, რომ გიორგი მარგველაშვილი იყო არარაობა, მაგრამ ივანიშვილმა აქცია ფიგურად. ჩვენ გვგონია, თითქოს მარტივი პროცესი მიდის, როდესაც მისი „რჩეული“ სააკაშვილის მიერ აშენებულ სასახლეში შევიდა, დაიბოლმა და ყველამ ჩაწიხვლა დაუწყო. ეს ქვეყნისთვის უკვე უბედურებაა. როგორ ფიქრობთ, ეს არ არის საშიში სიმპტომი?“**

**— ეს ერთგვარი ტაქტიკაა.**

– კი, ბევრს გამოუვიდა, ზოგი მინისტრი გახდა, ზოგი – მინისტრის მოადგილე. მართლა ტაქტიკაა. არ ვიცი, ქვეყანა თავზე გვენგრევა და ესენი ფეხბურთს თამაშობენ. როდესაც ქალაქის მერი გამოდის ინიციატივით, თბილისი ძველი საარჩევნო პლაკატებისგან გავწმინდოთო, მართლაც წმენდენ და მხოლოდ ნარმანიას პლაკატებს ტოვებენ, ესეც სასაცილოა. ასევე დატოვებულია ნარმანიას ბილბორდები, რა უბედურებაა ეს? პირველად თავისი პლაკატები უნდა ჩამოეხსნა.

**— „სახალხო კრების“ სხდომებს თუ ესწრება ნინო ბურჯანაძე?**

– ქალბატონი ნინო ბურჯანაძე მონაწილეობს დისკუსიებში, ის არის აღმასრულებელი საბჭოს წევრი. ჩვენ მასთან გვაქვს ძალიან სერიოზული თანამშრომლობა, მაგრამ „სახალხო კრება“ გამოდის ხალხის ინტერესებიდან და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის ინტერესებიდან. „სახალხო კრებას“ ადგილობრივ არჩევნებში არავითარი განცხადება არ გაუკეთებია და მხარი არ დაუჭერია არც ნინო ბურჯანაძისთვის და არც ჩემთვის. ძალიან სწორად მოიქცა ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, როცა პასიური პოზიცია დაიკავა ადგილობრივი არჩევნების დროს, ახლა კი ხმამაღლა ვამბობთ სათქმელს და აქტიურ მოქმედებაზეც გადავალთ.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პანკისში 22 წლის გურამ გუმაშვილს გლოვობენ



გუმაშვილის ოჯახის წევრები და ნათესავები აცხადებენ, რომ მათ ახალგაზრდის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია სირიელმა მებრძოლებმა მიაწოდეს. ოჯახი აცხადებს, რომ მათთვის გარდაცვლილის ადგილმდებარეობის შესახებ უცნობი იყო. ოჯახს ეგონა, რომ გურამ გუმაშვილი თურქეთში სამუშაოდ წავიდა.

გუმაშვილის ახლობლები თურქეთის ხელისუფლების დამოკიდებულებაზე ამახვილებენ ყურადღებას და მეზობელ ქვეყანას უყურადღებობაში ადანაშაულებენ.

გუმაშვილი სირიაში დაღუპული მეშვიდე ქართველია. პანკისის ხეობაში ქართველების სირიაში საბრძოლველად წასვლას არ მიესალმებიან. ხეობის უხუცესი ამბობს, რომ ქართველები სირიის შიდა დაპირისპირებაში არ უნდა ჩაერიონ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ალასანია პარტიის თავმჯდომარეობას უბრუნდება და გუნდის გაძლიერებას იწყებს



„თავისუფალი დემოკრატები“ გაძლიერებისთვის ემზადებიან. პარტია 8 ნოემბერს ფილარმონიაში ყრილობას გეგმავს.

როგორც მთავრობასა და პარლამენტში „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლები ამბობენ, ამ შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის „თავისუფალი დემოკრატების გაძლიერება. შეხვედრაზე ასევე განიხილება, ირაკლი ქადაგიშვილის ნაცვლად, ირაკლი ალასანიას ხელმეორედ არჩევა. რაც შეეხება სხვა დეტალებს, პარტიის წევრები აპირებენ, მიიღონ საკადრო გადაწყვეტილებები.

მათი განცხადებით, პარტიული გაძლიერება არ უკავშირდება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „თავისუფალი დემოკრატების“ დამოუკიდებლად მონაწილეობას.

შეხვედრის სხვა დეტალები ჯერჯერობით არ კონკრეტდება, თუმცა ცნობილია, რომ ფილარმონიაში დაგეგმილ ყრილობაზე მიწვეულია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და მთავრობის სხვა წევრები. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რატომ არ შეხვდა ღარიბაშვილი გია კორკოტაშვილს?

## გია კორკოტაშვილი: „იმის გამო, რომ ფიალა აივსო ქართველ ხალხში, ნაგავი უნდა გაიხვეტოს!!!“



**გია კორკოტაშვილმა „ფეისბუკით“ ასეთ ტექსტი გაავრცელა: „ყურები გამიწმინდეთ, ხელისუფალნო, ყველაფერს გთავაზობთ: დიალოგს, დებატებს გეფერებით, აბა ასე, ჩემო ბატონო, აბა ისე და შენც არ მომიკვდე. თქვენი აზრით, თავმოყვარე ხალხი როგორ უნდა მოიქცეს, ააააააააა, ეტყობა, ეჭვი გეპარებათ წინა ათი წლის მმართველობის შედეგად დაჩმორებულ ხალხში? არაა მასე, ბიძია, ერთადერთი ფარი თქვენი არიან „ნაციონალები“ და როგორ ფოლგაში გახვეულებს ეფოფინებით. ისე არ მოხდეს, ისე არ გადაამლაშოთ, ან ისე არ დააგვიანოთ, რომ „ზაადნო“ ნაგვის გატანაში თქვენც მოყვეთ. ნაგავს მაინც გავიტანთ. ქართველი ხალხი ბრძენია, ითმენს იმდენს, ხანდახან აუტანელიც რომ არის, მაგრამ მოთმინების ფიალაც ივსება, კუჭი ცარიელია, უმუშევრობაა, დაუსაქმებელია უნიჭიერესი და პროფესიონალი ხალხი. გაცვდა ტერმინი „ნაციონალების წისქვილზე ასხამ წყალს“? სამართალი გვწყურია ან თქვენთან ერთად ან უთქვენოდ. გადაწყვეტილებაა სასწრაფოდ მისაღები. მიიღეთ საზოგადოების რჩევები თქვენდა და ჩვენდა საკეთილდღეოდ“. — წერს კორკოტაშვილი.**

„ალიას“ გია კორკოტაშვილი ესაუბრა:

**— თქვენი ტექსტის წაკითხვის შემდეგ, გაჩნდა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ცდილობდით შეხვედრას, საუბარს და არ გამოვიდა. ასეა?**

— საქმე ისაა, რომ არც ისე ცუდი წრე მყავს მეგობრების, ვისი მეშვეობითაც ვცდილობდი მათთან სათქმელის მიტანას. ჯერ ერთი, ძალიან ბევრი ადამიანია, ვისაც შემიძლია, თანამებრძოლი დავარქვა, მაგრამ ახლა რატომ არიან მიყუჩებულები და გაჩუმებულები, ეს არ ვიცი. შეიძლება, მათ უფრო მეტი იციან და ასე სჯობია სახელმწიფოს მშენებლობისთვის, ვიდრე მე ვიცი. თუმცა ეს თუ იციან, შეუძლიათ, იმ წრეს, ვისაც ენდობიან, ეს უნდა უთხრან. შე კაი დედმამიშვილო, თუ მაშინ მენდობოდი, როცა გვიჭირდნენ, სადაც ჩხუბი და დავიდარაბა იყო, წინა რიგში ვიყავი, გვერდს გიმაგრებდნენ ჩემზე უფრო მეტი ვაჟკაცები, ახლა რატომ არ გინდათ გვითხრათ, რომ არჩეული გაქვთ სახელმწიფოს მშენებლობის სხვა სტრატეგია, რომლის შესახებაც ხმამაღლა საუბარი საჭირო არ არის? ხომ შეიძლება, არსებობდეს ასეთი ვერსია და თუ ასეა, მაშინ თქვით და ამაშიც გვერდით დაგიდგებით. მაგრამ ვხედავთ არასასიამოვნო რამეებს გარედან და გული გვწყდება, გადავხარშეთ ყველაფერი და ვიცით, რომ არსებობენ ადამიანები, ვისაც ძალიან უყვარს სამშობლო და მოუსმინეთ მათ. რომ ვხედავთ, მთლად კარგად არ არის საქმე, მოდით, ჩამოდით იმ მაღალი საფეხურიდან, სტრატეგიულად ხელი რომ გაქვთ მოფარებული და საბრძოლო ველს აკვირდებით, ჩამოდით ხალხში და დავილაპარაკოთ. თუ არ გაქვთ სრული ინფორმაცია რამეზე, ჩვენ მოგაწვდით. შევხვდეთ და თუ გახსნილი დებატები არ გინდათ, თქვენ მოიყვანეთ ხალხი. დაილაპარაკეთ იმ ხალხთან, ვინც ერთ აზრზე დგანან და გავარკვიოთ, იქნებ ყველა უცოდინარია და თქვენ ხართ მართლები? ამ დროს პირიქით მგონია მე. საკმაოდ გამოცდილი და მცოდნეა საზოგადოება, რომელიც ერთმანეთს უზიარებს ამ აზრებს. ხელისუფლებიდან კი პასუხს არავინ გვცემს. ელემენტარულად, ყველამ კარგად იცის, მეფეები სასადილოებში დადიოდნენ გადაცმულები, რომ ადამიანების აზრი მოესმინათ. ამას წინათ ღია წერილით მივმართე ბიძინა ივანიშვილს, გივი ბერიკაშვილს და კახი კავსაძეს, ვთხოვე, იქნებ თქვენ მაინც მიაწვდინოთ ამ ხალხს ხმა, რომ „წყაროზე“ უკვე სხვანაირად ლაპარაკობენ-თქო. საზოგადოებასთან ჩამოდი და ვილაპარაკოთ ყველას ბედნიერებისთვის, თორემ ნელ-ნელა ეს სიკეთე უცხოვდება-თქო.

> **„ძალიან ბევრი ადამიანია, რომელთაც შემიძლია თანამებრძოლი დავარქვა, მაგრამ ახლა რატომ არიან მიყუჩებულები და გაჩუმებულები, ეს არ ვიცი. შეიძლება, მათ უფრო მეტი იციან და ასე სჯობია სახელმწიფოს მშენებლობისთვის, ვიდრე მე ვიცი. თუმცა ეს თუ იციან, შეუძლიათ, იმ წრეს, ვისაც ენდობიან, ეს უნდა უთხრან. შე კაი დედმამიშვილო, თუ მაშინ მენდობოდი, როცა გვიჭირდნენ, სადაც ჩხუბი და დავიდარაბა იყო, წინა რიგში ვიყავი, გვერდს გიმაგრებდნენ ჩემზე უფრო მეტი ვაჟკაცები, ახლა რატომ არ გინდათ გვითხრათ, რომ გაქვთ არჩეული სახელმწიფოს მშენებლობის სხვა სტრატეგია, რომლის შესახებაც ხმამაღლა საუბარი საჭირო არ არის?“**

**— გინდათ თქვათ, რომ, თუ თქვენ არ უთხარით, მართლა არ იციან, რა ხდება ქვეყანაზე და რა განწყობაა ხალხში?**

— ჩინოვნიკური ცხოვრება ძალიან დიდ დროს ითხოვს, მილიონი რამე უნდა შესრულდეს ეფექტურად. თუ კაცი ნიჭიერი ხარ და პროფესიონალი, იმ საქმესაც ასწრებ, რაც გაქვს და გარემოსთანაც ლავირებას აკეთებ. მაგრამ ადამიანმა, როცა არ იცი, რა უნდა აკეთო და დანიშვნით მიდიხარ თანამდებობაზე, იმას გაუჭირდება. უცოდინარობას გამოვრიცხავ, რადგან არ მინდა ასე იყოს, არჩეული ადამიანების უცოდინარობა არ მინდა დავიჯერო. მე მაქვს ინიციატივა, საზოგადოების ნაწილი შევკრიბეთ, რომელსაც ენდობით, რომლის ვექტორიც თქვენს ვექტორს ემთხვევა, თქვენ აკეთეთ თქვენი საქმე და საზოგადოებას რომ არ დაშორდეთ, ყოველთვის გქონდეთ ამათთან მჭიდრო ურთიერთობა, აზრი გაიზიარეთ, დებატებში შედით, იმსჯელეთ და საღი აზრი იპოვეთ. ახლა ისე ნუ იქნება, ამათ ჰგონიათ, რომ სწორად აშენებენ, იქიდან ჩართულია „ნაციონალური მოძრაობა“ და ხელს უშლის, საზოგადოება კი გაჩერებულია. თუ ჩვენი და ხელისუფლების ვექტორი არ დაემთხვა ერთმანეთს, მოუვა „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსად, გადაიჩეხება ღვინიასავით. ასე მოუვათ მათაც.

> **„რომ ვხედავთ, მთლად კარგად არ არის საქმე, მოდით, ჩამოდით იმ მაღალი საფეხურიდან, სტრატეგიულად ხელი რომ გაქვთ მოფარებული და საბრძოლო ველს აკვირდებით, ჩამოდით ხალხში და დავილაპარაკოთ. თუ არ გაქვთ სრული ინფორმაცია რამეზე, ჩვენ მოგაწვდით. შევხვდეთ და თუ გახსნილი დებატები არ გინდათ, თქვენ მოიყვანეთ ხალხი. დაილაპარაკეთ იმ ხალხთან, ვინც ერთ აზრზე დგანან და გავარკვიოთ, იქნებ ყველა უცოდინარია და თქვენ ხართ მართლები? ამ დროს პირიქით მგონია მე. საკმაოდ გამოცდილი და მცოდნეა საზოგადოება, რომელიც ერთმანეთს უზიარებს ამ აზრებს. ხელისუფლებიდან კი პასუხს არავინ გვცემს“**

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### რესტორანში მოკლული მამაკაცის ახლობლები აზერბაიჯანიდან მკვლელის ექსტრადირებას ითხოვენ




რესტორან „კახეთში“ მოკლული 35 წლის იკარ მურადოვის ახლობლები მკვლელის საქართველოში ექსტრადირებას ითხოვენ. ამ მიზნით მათ აზერბაიჯანის საელჩოსთან აქცია გამართეს.

გარდაცვლილის ოჯახის წევრების თქმით, დამნაშავე მათივე თანასოფლელია, რომელიც აზერბაიჯანში იმყოფება. სწორედ ამიტომ მიმართეს აზერბაიჯანის საელჩოს. თუმცა საელჩოს ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

შემთხვევა პირველ სექტემბერს მოხდა. (ნიუპოსტი)

### საქართველო ერაყს ჰუმანიტარული ფორმით დაეხმარება



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო ერაყს ჰუმანიტარული ფორმებით დაეხმარება.

„ჩვენ განვიხილეთ, როგორ უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი ერაყში არსებულ ვითარებაში. მხოლოდ ჰუმანიტარული საშუალებით აღმოვუჩენთ დახმარებას ერაყის ხელისუფლებას, რათა ის უმნიშვნელოვანესი საჭიროების საგნები, რაც ჰუმანიტარულ დახმარებას წარმოადგენს, დროულად მივაწოდოთ“, – განაცხადა პეტრიაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### გაერო ოთხმხრივ მოლაპარაკებებში სოხუმის ჩართვას ითხოვს




გალის ინციდენტების პრევენციის საკითხებზე რეაგირების ჯგუფის მუშაობაში გაერო-ს წარმომადგენელი სოხუმის ჩართვას ითხოვს, შედეგად გადაწყდება, აღდგება თუ არა ოთხმხრივი მოლაპარაკებები. საოკუპაციო რეჟიმს კი საკუთარი მოთხოვნები და წინადადებები აქვს.

გაერო-ს წარმომადგენლის განცხადებით:

„ჟენევის დისკუსიის ერთ-ერთი მთავარი წარმატება ის იყო, რომ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯგუფი შეიქმნა. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს შეხვედრები აღდგება“.

აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ აფხაზეთი იმ შემთხვევაში ჩაერთვება ამ მოლაპარაკებებში, თუ საქართველო ხელს მოაწერს შეთანხმებას ცეცხლის განუახლებლობის შესახებ, შედეგად კი აფხაზეთის ე.წ. მოქალაქეები შენგენის ვიზებს მიიღებენ.

„ყველაზე მნიშვნელოვანია შეთანხმება ცეცხლის განუახლებლობის შესახებ. ჩვენ იმედს ვამყარებთ ამ შეთანხმებაზე. მართალია, ბოლო წლებში ომის დაწყების შიში არ გვაქვს, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ელიტა ამ დოკუმენტს ელოდება“, – განაცხადა აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრმა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

**— კონკრეტულად ვისთან საუბარი გსურდათ, რომ ეს ყველაფერი გეთქვათ და ვერ მოახერხეთ?**

– ყველასთვის მინდოდა ხმის მიწვდენა, ვინც სათავეში არიან. თუნდაც ღარიბაშვილისთვის. მე ღარიბაშვილისტი ვარ და ამიტომ მინდა, რომ ამ ადამიანმა დაინახოს ყველაფერი, პატივს ვცემ ყველას, ვინც მთავრობაში არიან, მაგრამ ყველას თავისი აზრი აქვს. ირაკლის კარგი დასაწყისი აქვს, ყველაფერს ერთად ვერ მოერევა, მაგრამ მისი გარემოცვის არ მჯერა. არ მომწონს ეს ხალხი, არ დავკონკრეტდები, სახელს არ დავასახელებ, მაგრამ თავადაც კარგად იციან, ვინ არ მომწონს. ირაკლის პიარი არ მომწონს, საქმეთა მმართველები, მისი გუნდის დამოკიდებულება ტელევიზიების მიმართ, რადგან არავის ისე არ აფარჩაკებს ტელევიზია, როგორც „ოცნებას". დებატში მიდიან თავისი ფეხით და მიაქვთ პატარა ნიჩაბი, რომ თავისი ხელით ამოითხარონ სამარე. იმ მოედანზე უნდა იცოდნენ, რომ ტელევიზიები ცდილობენ, ისეთი ხალხი დაუსვან, რომ ფინალში ხელისუფლება აგებს. ასეა გარედან, ჩვენი ფალავნები აგებენ და დააწყდა ხალხს ნერვები. „ოცნებამ" კიდევ ერთხელ წააგო მაშინ, როცა დებატში უჯდება მხოლოდ „ნაციონალებს", სხვას არ მიიჩნევს ოპოზიციონერად.

**— „ალიასთან" წინა ინტერვიუში, 2-3 კვირის წინ, მუქარანარევი ტონით საუბრობდით. მას შემდეგ შეხვედრა მაინც ვერ მოახერხეთ და „ფეისბუკით" იმიტომ მიმართეთ?**

– საქმე ისაა, რომ უნდა ჰყავდეს ღარიბაშვილს ჯგუფი, ვინც ამ ყველაფერს ეტყვის. მინდა, ირაკლი მაგარი იყოს უფრო, ამ სიმაგრის განსამტკიცებლად მინდა, საზოგადოება მას გვერდით დაუდგეს. ჩვენ ასი ათასჯერ უკეთესად დავუჭერთ მას მხარს, ზუსტ დიაგნოზს დავუსვამთ, რა უნდა გააკეთოს. გარეთ, ვინც დასაქმებული არ არის, უფრო მაგრები არიან, ვიდრე ხელისუფლებაში დასაქმდნენ და ეს მტკენს გულს.

**— რას აპირებთ ახლა და როდის იწყებთ?**

– იმის გამო, რომ ფიალა აივსო ქართველ ხალხში, ნაგავი უნდა გაიხვეტოს. ეს ნაგავი არიან ისინი, ვინც 10 წელი უმწარებდა სიცოცხლეს ამ ხალხს. ზოგი საკვანძო ადგილზე მუშაობდა და ბოროტებას აკეთებდა, ეს უნდა დამტკიცდეს, ევროსაბჭოში რომ ვერ დაამტკიცებ, ვაშლის გათლის გამო არ დაგვიკავებია ახალაიაო, ეს არის საგარეო საქმეთა სამინისტროს დანაშაული. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ორგანიზაცია „გახდი მოქალაქე", რომელიც საზოგადოებრივ მოძრაობაში გადაიზრდება. მოლაპარაკებები მიდის ხალხთან, ვინც ამ სულისკვეთებით არიან, სიმშვიდე დადგეს და „ნაცმოძრაობამ" აღარ გაამწვავოს ვითარება. უნდა დავამტკიცოთ, რომ დრომოჭმული პარტიაა და უნდა დაამთავროს, დროა! მხოლოდ ცუდის გასაკეთებლად არიან მოტივირებულები.

**„ახლა ისე ნუ იქნება, ამათ ჰგონიათ, რომ სწორად აშენებენ, იქიდან ჩართულია „ნაციონალური მოძრაობა" და ხელს უშლის, საზოგადოება კი გაჩერებულია. თუ ჩვენი და ხელისუფლების ვექტორი ერთმანეთს არ დაემთხვა, მოუვა „ნაციონალური მოძრაობის" მსგავსად, გადაიჩეხება ღვინიასავით. ასე მოუვათ მათაც"**

**— მხარდამჭერების რა რაოდენობაზე გაქვთ გათვლა?**

– არ მაქვს რაოდენობაზე აქცენტი. გვინდა, მემორანდუმი გავაკეთოთ, გავაკეთოთ ფრონტი ერთი მიზნით. მერე კი ბატონო, ზოგი მემარცხენეა, ზოგი მემარჯვენე და თავის გზაზე გაუმარჯოს. საქართველო რომ დადგეს სიმშვიდისა და აღმშენებლობის გზაზე, აუცილებელია რამე ნაბიჯის გადადგმა.

**— არაერთი ორგანიზაცია შეიქმნა სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით. ისინიც აპირებენ შემოერთებას?**

– აუცილებლად. ყველა, ვისაც გული აქვს ნატკენი და ვერ დაინახა სამართლიანობა, ყველა ჩვენ გვერდით იქნება, იგივე იპოთეკარებისგან დაზარალებულები, ყველანაირი ლაილაის გარეშე გვინდა, პროდუქტი დავდოთ. ამიტომ გვინდა, შევიკრიბოთ, ოფისი დავიქირაოთ და არა ლამაზი ენით ვწეროთ „ფეისბუკზე".

**— ზუსტად არ იცით თარიღი, როდის დაიწყებთ?**

– ჯერ არა, ტყუილი იქნება, თუ თარიღს დავასახელებ. ჯერ ვეძებთ ოფისს.

**— ოფისს და ორგანიზაციულ საკითხებს ფული სჭირდება. გაქვთ ამისთვის ფინანსები?**

– ვისაც სურვილი აქვს, იქნებ დაგვეხმაროს. შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ და სპონსორობითა და კეთილი გულით დაგვეხმარონ.

**— შესაძლოა, „ნაცების" პროვოკატორები შემოგიერთდნენ, ამაზე ხშირად საუბრობენ ხალხში. ამისგან როგორ აპირებთ თავის დაცვას?**

– ჩვენი მოძრაობა დაიწყება ერთი ლოზუნგით, რომ ვართ ხელისუფლების მხარეს და მათთან ერთად გვინდა მომავალი. თუ ამას ხელისუფალი ვერ მიხვდება, მის გარეშე გავაკეთებთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, „ნაცების" წისქვილზე დავასხათ წყალი. რაც შეეხება პროვოკატორებს, მაგათ მეტი რა მინახავს, უკვე ინტუიციით ვხვდები, ვინ არიან პროვოკატორები და მათ გამოვავლენთ.



**„ირაკლის კარგი დასაწყისი აქვს, ყველაფერს ერთად ვერ მოერევა, მაგრამ მისი გარემოცვის არ მჯერა. არ მომწონს ეს ხალხი, არ დავკონკრეტდები, სახელს არ დავასახელებ, მაგრამ თავადაც კარგად იციან, ვინ არ მომწონს. ირაკლის პიარი არ მომწონს, საქმეთა მმართველები, მისი გუნდის დამოკიდებულება ტელევიზიების მიმართ, რადგან არავის ისე არ აფარჩაკებს ტელევიზია, როგორც „ოცნებას"**

**„ჩვენი მოძრაობა დაიწყება ერთი ლოზუნგით, რომ ვართ ხელისუფლების მხარეს და მათთან ერთად გვინდა მომავალი. თუ ამას ხელისუფალი ვერ მიხვდება, მის გარეშე გავაკეთებთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, „ნაცების" წისქვილზე დავასხათ წყალი. რაც შეეხება პროვოკატორებს, მაგათ მეტი რა მინახავს, უკვე ინტუიციით ვხვდები, ვინ არიან პროვოკატორები და მათ გამოვავლენთ"**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნეპოტისტო სანიკიძე, გადადექი"



ქუთაისში პარლამენტის შენობასთან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, თამარ სანიკიძეს, შეძახილებით დახვდნენ. „უხელფასობას – არა, ნეპოტიზმს – არა, ცენზურას – არა. სანიკიძე წადი". ამ ლოზუნგებით მიეგებნენ სახელმწიფო მინისტრს აქციის მონაწილეები.

პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი, დავით ფერაძე და ცენტრის წევრი, დავით სალია აღნიშნავენ, რომ, რაც კი თამარ სანიკიძის მმართველობის პერიოდში კონკურსი ჩატარდა, არც ერთი მათგანი სამართლიანი არ ყოფილა. „ნეპოტისტო სანიკიძე, გადადექი. ცენზურის დედამთავარი ხარ, გადადექი". – სკანდირებდნენ აქციის მონაწილეები მინისტრის მისამართით.

თამარ სანიკიძე აქციის მონაწილეებს არ შეხვედრია, თუმცა საკადრო ცვლილებებზე განაცხადა:

„არ ვიცი, მართალი გითხრათ ამ თემაზე განხილვა არავისთან, არც მთავრობაში და არც სხვა უწყებებში არ მქონია. ამაზე საუბარი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს და წინა წლებიდან მოდის. შეუცვლელი არავინ არის, თუ საკადრო ცვლილებები საჭირო იქნება, ამაზე გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრი მიიღებს. ჯერჯერობით ამ თემაზე კონსულტაცია ან საუბარი არავისთან არ მქონია", – აღნიშნა სანიკიძემ.

მინისტრმა, ასევე, განმარტა, რომ მომავალი წლის პირველი იანვრიდან პედაგოგთა ხელფასები გაიზრდება:

„ხელფასები იქნება რანჟირებული. გარკვეული მატება იქნება საბაზო ხელფასშიც, მაგრამ, ძირითადად, მატება განისაზღვრება რანჟირებულად კატეგორიების მიხედვით. ნოემბერში ზუსტად გვეცოდინება იმ დამატებითი რესურსის შესახებ, რომელიც მასწავლებლის ხელფასში მიემართება. როგორც კი დასრულდება კანონპროექტზე მსჯელობა და კანონში განისაზღვრება ცვლილებები, ჩვენ შევძლებთ ერთდროულად დავიწყოთ 2015 წელს სქემის ამოქმედება და განვახორციელოთ ის სახელფასო ცვლილებები, რომელსაც სქემის ფარგლებში ვგეგმავთ. ეს იქნება ნაწილობრივ საბაზო ხელფასის ზრდა, თუმცა ხელფასები ასევე გვინდა იყოს რანჟირებული, რათა გაიზარდოს მოტივაცია", – განაცხადა თამარ სანიკიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## არასტანდარტულ ვაშლზე სუბსიდია რაჭაშიც გაიცემა



შიდა ქართლის რეგიონის შემდეგ, არასტანდარტულ ვაშლზე სუბსიდიის გაცემა რაჭაშიც დაიწყო.

„ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროექტის" ფარგლებში, 9 ოქტომბრიდან მოსახლეობისგან ვაშლის ჩაბარებას ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხილის გადამამუშავებელი ქარხანა ახორციელებს.

„სეზონზე ქარხანაში 500 ტონამდე არასტანდარტული ვაშლის მიღებას ვარაუდობენ. მაღალმთიანი რეგიონისთვის, ისეთის როგორიც რაჭაა, ამ ტიპის საწარმოების ფუნქციონირება მნიშვნელოვანია. ეს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ადგილობრივის წარმოების ზრდასა და ზოგადად, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას შეუწყობს ხელს", – აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა დანელიამ.

დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, ჯამში, მიღებულია 15 ათას ტონამდე არასტანდარტული ვაშლი. 13 ოქტომბრის მდგომარეობით, სუბსიდიის სახით გაცემულმა თანხამ 1,5 მლნ ლარამდე შეადგინა.

პროექტის ფარგლებში, ხილის გადამამუშავებელი კომპანიები, რომლებიც მეხილეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირებისგან 1 კგ არასტანდარტულ ვაშლს არანაკლებ 0.10 ლარად შეისყიდიან, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 1 კგ არასტანდარტულ ვაშლზე 0.08 ლარის ოდენობის სუბსიდიას გასცემს.

არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროექტის ბიუჯეტი 3 000 000 ლარს შეადგენს. (ნიუპოსტი)

## მობილურ ბაზარზე ურთიერთჩართვის ახალი ტარიფი დადგინდა



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ კვლევა-ანალიზის შედეგად მობილურ ბაზარზე ურთიერთჩართვის (საბითუმო) ახალი ზედა ზღვრული ტარიფი დაადგინა. ახალი ტარიფი სამ მობილურ ოპერატორს „მაგთიკომს", „ჯეოსელს" და „ბილაინს" დაუწესდა.

კომისიის გადაწყვეტილებით, 2015 წლის 1-ლი იანვრიდან მობილურ ბაზარზე ურთიერთჩართვის (საბითუმო) ახალი ზედა ზღვრული ტარიფი 3.5 თეთრი იქნება. შეგახსენებთ, დღეს მობილური ოპერატორებისთვის „მობიტელისთვის" („ბილაინისთვის"), „მაგთიკომისთვის" და „ჯეოსელისთვის" ურთიერთჩართვის 5-თეთრიანი ზედა ზღვრული ტარიფი მოქმედებს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, უფლებამოსილია, ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გამოავლინოს მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მქონე ოპერატორები და თავისი გადაწყვეტილებით დააკისროს მათ სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის დაუწესოს ზედა ზღვრული ტარიფები. კომისიამ ბოლო ათი წლის განმავლობაში კვლევა-ანალიზის ჩატარების შედეგად არაერთხელ გადახედა მობილური საბითუმო ბაზრის ურთიერთჩართვის ტარიფს და 22.8 თეთრიდან ეტაპობრივად 3.5 თეთრამდე შეამცირა.

სამივე მობილურ ოპერატორს, კომისიის გადაწყვეტილებით, ახალი ურთიერთჩართვის ტარიფის ძალაში შესვლამდე ერთი თვით ადრე საკუთარ ვებგვერდებზე შეცვლილი სატარიფო გეგმების გამოქვეყნებაც დაევალა. (ნიუპოსტი)

13 ოქტომბერს კომპანია „აიპიემ-მა“ გამოაქვეყნა კვლევა, რომლის მიხედვითაც, მთავრობის მიმდინარე საქმიანობის ეფექტურობის, ისევე როგორც წარმატების მოლოდინისა და მთავრობის საქმიანობის რეიტინგის პარამეტრები, სექტემბერში რეგრესს განიცდის.

რამდენიმე პუნქტით შემცირდა ჯანდაცვის, საგარეო ურთიერთობების, ასევე პოლიციისა და ადამიანის უფლებების საქმიანობის მიმართულებები. მხოლოდ ერთი მიმართულების, ტერიტორიული მთლიანობისა და ჯარის თემა გაიზარდა რამდენიმე პუნქტით. დასაქმების ინდექსი რეკორდულ დაბალ ნიშნულს – მინუს 55%-ს აღწევს. ყველაზე დიდი ვარდნა პოლიციის საქმიანობას აქვს (18 პუნქტი), აგრეთვე, ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებას (16 პუნქტი). წარმატების მოლოდინის შემთხვევაში ვითარება რთულია, რადგან უკლებლივ ყველა საქმიანობა, ერთი თვის განმავლობაში, მინიმუმ 10 პუნქტით ეცემა, ხოლო დასაქმების მოლოდინის ინდექსი ნულს უტოლდება. მაქსიმალურ მნიშვნელობას ჯანდაცვის მიმართულება იღებს – 20%. მკითხველს შევახსენებთ, რომ განსხვავებით მთავრობის საქმიანობის ეფექტურობის ინდექსისა, წარმატების მოლოდინის ინდექსი ზომავს მთავრობის მიერ ჩატარებული სამუშაოების ეფექტს მომავალში, 3 წლის პერსპექტივით. ვითარება ამ თვალსაზრისით ძალზე რთულია, რადგან საშუალოდ 7%-იანი წარმატების მოლოდინის ინდექსი ნიშნავს, რომ ქვეყანაში მოქალაქეები ნაკლებად არიან მოტივირებულნი, განახორციელონ საკუთარი რესურსების, მათ შორის დროითი და ფულადი რესურსების ინვესტირება მომავალში. ეს ყველაზე ნეგატიური შეფასებაა, რომელიც ბოლო პერიოდში ემპირიულ კვლევებში დაფიქსირდა, – ვკითხულობთ „აიპიემის“ კვლევაში.

# მთავრობის საქმიანობის რეიტინგი

## რას ამბობენ ხელისუფლებაში კვლევის შედეგებზე




**საინტერესოა, რა მეთოდიკით მოხდა კვლევის ჩატარება? ჰყავს თუ არა მას დამკვეთი და ვინ გადაიხადა კვლევაში ფული? ამ მიზნით ვცადეთ კომპანიის ხელმძღვანელთან გოჩა ცქიტიშვილთან დაკავშირება, მაგრამ მისი საკონტაქტო ტელეფონი ოფისში არ მოგვცეს, საბოლოოდ დიდი ამბის შემდეგ დავუკავშირდით კომპანიის წარმომადგენელს ქეთი ჯავახიშვილს:**

– ეს კვლევა ჩატარდა თბილისის მასშტაბით და ტელეფონის საშუალებით გამოიკითხა 600 ადამიანი, რომელთა ასაკიც იყო 18 წელი და ზევით, შერჩევა გაკეთდა შემთხვევითი პრინციპით და ასევე, დასაქმებულებისა და დაუსაქმებლების შესაბამისი პროპორციულობით. ეს გულისხმობს იმას, რომ აბსოლუტურად ყველა პროფესიის, სქესისა და ასაკის ადამიანს ჰქონდა შანსი, ამ გამოკითხვაში მოხვედრილიყო. ანუ არსებობს სატელეფონო ბაზა, შემთხვევითი პრინციპით ხდება ნომრის ამორჩევა და, შესაბამისად, ამის მიხედვით ვრეკავდით.

**— კი, მაგრამ ეს ნომრები როგორ ხვდება თქვენთან? ანუ, არიან აბონენტები, რომლებსაც ხშირად უკავშირდებით კვლევისთვის?**

– არა, არა! ამ ბაზაში შემთხვევით ხვდება ეს ნომრები და ეს შემთხვევითობა არის აბსოლუტურად დაცული.

**— ბოლომდე ვერ გავიგე, მაგრამ საინტერესოა, რატომ მე არ მიკავშირდებით შემთხვევით? კიდევ აპირებთ კვლევების ჩატარებას და რა საკითხებზე?**

– ჩვენ წლის ბოლომდე კვლავ ვაპირებთ, ეს კვლევა გავაგრძელოთ, ანუ მთავრობის წარმატების ინდექსზე.

**— წარმატების თუ წარუმატებლობის?**

– თუ მეკითხებით, გპასუხობთ, გადაწყვეტილი გვაქვს ამ კვლევის გაგრძელება.

**— ეს კვლევა ვინმეს შეკვეთაა, ვინ გადაიხადა ამაში ფული?**

– კვლევები არის ორგანიზაციის რესურსით გაკეთებული, კომპანიის სახსრებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქნებოდა კლიენტის საკუთრება.

**ამის შემდეგ ვუკავშირდები პროფესიით სოციოლოგს, „ქართული ოცნების“ წევრს, პარლამენტარ გია ჟორჟოლიანს. მაინტერესებს, ანიჭებს თუ არა „ოცნება“ მსგავს კვლევებს მნიშვნელობას და ითვალისწინებენ თუ არა მონაცემებს თავიანთ საქმიანობაში?**

– არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ამ გამოკითხვას და გეტყვით, რატომ: ჯერ ვიტყვი, რომ ეგ „აიპიემი“ ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობდა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და ვფიქრობ, ეს მათ წინასწარ განწყობას განსაზღვრავს. 600-კაციანი სატელეფონო გამოკითხვა რას ნიშნავს? ეს არასაკმარისი შერჩევაა. მეთოდიკას არ ვიცნობ და იქ ძალიან ბევრი ხინჯი და ხარვეზი შეიძლება არსებობდეს. ასე რომ, სერიოზულად ამ გამოკითხვას ნამდვილად არ შევხედავდი.

**— კი, მაგრამ ყველაფერი არასწორია ამ კვლევაში? რეალურად, კვლევა დევს და „ოცნება“ არ გაითვალისწინებს?**

– რად მინდა ეგ კვლევა, რაღაცები ისედაც ვიცით ჩვენ და არის სტატისტიკა, ასევე სხვა კვლევები და მდგომარეობა ვიცით. ზოგადად, დასაქმების პროგრამა რომ საქართველოში არ არსებობს და ამას სერიოზული პოლიტიკის შემუშავება სჭირდება, ამისთვის რად მინდა „აიპიემის“ თქმა? ვიცი, რომ მართლაც სერიოზული ძვრებია საჭირო, რომ მოხდეს. მაგრამ ისიც ვიცი, რომ მართლაც, არჩევნებამდე ზოგადად მოლოდინები იყო მაღალი და ახლა განწყობა კრიტიკულია, ვიდრე ორი წლის წინათ. ჩემი აზრით, მომავალი წლისთვის ჩვენ სერიოზული პოლიტიკური ძვრები გვექნება მთელი რიგი მიმართულებებით და მათ შორის ხალხის ენთუზიაზმს აქვს დიდი მნიშვნელობა.

**— კიდევ ხალხის ენთუზიაზმი? ხალხს ჰქონდა ენთუზიაზმი, რომელიც თქვენი შემხედვარე, ზოგისთვის შემცირდა, ზოგისთვის — გაქრა....**

– მაგას გეუბნებით, სერიოზული პოლიტიკური ძვრები იქნება და არ ვგულისხმობ არჩევნებს, ვგულისხმობ პოლიტიკის ძვრებს დასაქმებისა და წარმოების განვითარების თვალსაზრისით და ველი, რომ მომავალ წელს იქნება ეს ყველაფერი და ხალხი ამაში ჩაერთვება.

**— სამწუხაროა, რომ ხალხი ამ განვლილი ორი წლის მანძილზე ამაში არ**

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „საპენსიო რეფორმა არის მათხოვრული, სად არის ნამუსი?!“




პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია თვლის, რომ „არსებულ ხელისუფლებას არავითარი რეფორმების განხორციელების უნარი არ შესწევს“.

„ხელისუფლების მაქსიმუმი ამოცანა არის სიტუაციის გადაგორება, სხვა არანაირი ძალა და შინაგანი რესურსი ამ ხელისუფლებას არ გააჩნია. თუ გინახავთ ოდესმე ხელისუფლების მიერ განხორციელებული ერთი პოლიტიკური პროცესი მაინც? ხელისუფლება მუდმივად ოპოზიციის მიერ შექმნილ სიტუაციაზე რეაგირებს, უმეტეს შემთხვევაში, არაადეკვატურად... ამის ფონზე განსაკუთრებით სამარცხვინოა მერიაში მიმდინარე პროცესები. ხელფასებსა და ჯიპებს დახარბებული რაზმის მთავარი საზრუნავი არა სახელმწიფოს, არამედ პირადი კეთილდღეობა გახდა. ისეა დახარბებული ხელისუფლება, სიტყვა „გაზრდა“ ახსენონ, ოღონდაც ეს სიტყვა გამოეყენებინათ და დიდი ამბით განაცხადეს, რომ მომავალი წლიდან საპენსიო რეფორმა განხორციელდება და პენსია 5 ლარით გაიზრდება. იმ ფონზე, როცა საკუთარი ხელფასები რამდენიმე ათასეული ლარით განსაზღვრეს, ეს არის მათხოვრული რეფორმა და ვინ ჰგონიათ მათხოვარი?! სად არის ნამუსი?!“ – აღნიშნა ბაღათურიამ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

### „კახეთ-დაღესტნის პროექტი ახალი როკის გვირაბი იქნება“



ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები იმ საფრთხეზე მიუთითებენ, რაც კახეთ-დაღესტნის ახალი გზის მშენებლობას შეიძლება მოჰყვეს.

„ეს იქნება ახალი როკის გვირაბი“, – ამბობს კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა და ამ პროექტს „კახეთის ცხინვალიზაციის პროცესის უებარ რეცეპტად“ მოიხსენიებს. „ეს იქნება ტრაგიკული შეცდომა და ჩვენი ქვეყნის რეალური დაქუცმაცების წინაპირობა. ეს არის, ბუნებრივია, სამხედრო გზა“, – აცხადებს რურუა.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ყოფილი მოადგილე ბათუ ქუთელია კი ამბობს, „როდესაც ვმსჯელობთ რუსეთთან დამაკავშირებელ დამატებით ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გზა იქნება ეს, თუ გვირაბი, ბუნებრივია, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რუსეთი არის მთავარი საფრთხე საქართველოსთვის. რუსეთს აქვს ოკუპირებული ჩვენი ტერიტორიის დიდი ნაწილი და 2008 წელს სწორედ ასეთი ინფრასტრუქტურა იყო გამოყენებული მისი მხრიდან“.

იგეგმება თუ არა რუსეთთან დასაკავშირებელი კიდევ ერთი გზის მშენებლობა, ამ საკითხზე ქართულ პოლიტიკურ სპექტრსა და მთავრობაში აზრთა სხვადასხვაობაა. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

**ჩართეთ.**

– კი, ბატონო. არა, ნუ, სულ ასე არ არის, რომ არ ჩაერთვნენ. სერიოზული ანალიზი თუ გვინდა, ჯერ ერთი, „აიპიემს“ არ უნდა დაეყრდნოთ, მით უმეტესს 600-კაციან სატელეფონო გამოკითხვას. რაც შეეხება დასაქმების მონაცემებს, ეს გვაქვს ჩვენ და ვიცით, რომ არც გაუმჯობესებულა და არც გაუარესებულა. ეს მონაცემი ისეთივეა, რაც ორი წლის წინათ.

**— მინუს 55%?**

– არა, ოდნავ გაუმჯობესებული.

**— აბა, არ გაუმჯობესებულაო?**

– მე ვამბობ, რომ პერსპექტივა ამისა არსებობს და ამისთვის მომავალი წელი იქნება სერიოზული გარღვევის წელი და მგონია, რომ ადამიანების დამოკიდებულებაც შეიცვლება და „აიპიემზე“ რომ მეკითხებით, მე სოციოლოგიას უნივერსიტეტში ვასწავლი.

**— კი, ბატონო, თავად თუ გაქვთ „ოცნებაში“ მსგავსი კვლევები ჩატარებული?**

– ჩვენ თუ ჩავატარებთ ამას, გამოვაქვეყნებთ კიდეც. არსებობს სტატისტიკა, გამოკითხვები, მათ შორის ზოგი საერთაშორისო, ზოგი – ადგილობრივი, მაგრამ გადამეტებულ მნიშვნელობას მათ არ მივანიჭებდი, თუმცა მათი მონაცემები უფრო ობიექტურია, ვიდრე „აიპიემის“.

**— და მაგ ობიექტური მონაცემების მიხედვით რა სურათია, სხვა შედეგია? ანუ განსხვავება რა არის?**

– ყველაზე კარგი საზომი იყო არჩევნები, სადაც ვნახეთ, რომ ოქტომბერში უფრო მეტი მხარდაჭერა იყო და შემდეგ შემცირდა. ადგილობრივზე ვნახეთ, რომ მოსული ამომრჩევლის 50% მხარს გვიჭერს.

**— მე უფრო ცოტა მახსოვს.**

– არა, კაცო! მხოლოდ ზოგიერთ რაიონში იყო 47-48%, სადაც მეორე ტურები ჩატარდა. ცხადია, ეს გვიჩვენებს, რომ სამუშაო გვაქვს, შესაცვლელიც ბევრია და ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობა მიდის, მაგრამ მომავალი წლიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, მათ შორის, წარმოების განვითარებას და, რაც მთავარია, ეს ორიენტირებული იქნება მთელ საქართველოზე.

**— და ამას როდის დავინახავთ?**

– უახლოესი თვეების განმავლობაში ამ მიმართულებით სერიოზული ძვრები იქნება. ორი თვე დამელოდეთ და თქვენვე ნახავთ, დამიჯერეთ.

**— და ამ „აიპიემებს“ თავში ჩავარტყამთ რეალური წინსვლით?**

– აბა, რაა! რა მდგომარეობაც ჩვენს ქვეყანაშია, იმ შედეგების გამოსწორებას წლები უნდა, მაგრამ ნაბიჯები გადაიდგმება. თუმცა „აიპიემმა“ შეიძლება, სულ ილაპარაკოს, ახლა მე არ მინდა კონკრეტულად ვილაპარაკო ამ კომპანიაზე, მაგრამ პროპაგანდისტულ ჯგუფებს ყოველთვის ექნებათ სათქმელი და არაადეკვატური მონაცემები, მაგრამ მე ვამბობ, ობიექტურ სურათზე, რადგანაც ხომ აქ ვცხოვრობთ და მონაცემები ვიცით და ამის საფუძველზე ვამბობ.

**— მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ესენი მთლად ჰაერზე ვერ ილაპარაკებენ, „დიმ ბეზ აგნნია, ნი ბივაეტ“ და „ოცნება“ ძალიან ნელა იწყებს შენებას.**

– რა თქმა უნდა, და ამიტომ გეუბნებით, ტემპი მოიმატებს.

**„რა მდგომარეობაც ჩვენს ქვეყანაშია, იმ შედეგების გამოსწორებას წლები უნდა, მაგრამ ნაბიჯები გადაიდგმება. თუმცა „აიპიემმა“ შეიძლება, სულ ილაპარაკოს, ახლა მე არ მინდა კონკრეტულად ვილაპარაკო ამ კომპანიაზე, მაგრამ პროპაგანდისტულ ჯგუფებს ყოველთვის ექნებათ სათქმელი და არაადეკვატური მონაცემები, მაგრამ მე ვამბობ, ობიექტურ სურათზე, რადგანაც ხომ აქ ვცხოვრობთ და მონაცემები ვიცით და ამის საფუძველზე ვამბობ“**









**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება



შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი გაცნობებთ, რომ 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე მიმავალი ავტომანქანების შეუფერხებელი და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, დილის 07:00 საათიდან მცხეთის მიმართულებით, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მე-19 კმ ჩაიკეტება. დღესასწაულზე ქალაქ მცხეთაში წასვლის მსურველებს მუნიციპალური ტრანსპორტი მოემსახურება. ავტობუსები მცხეთის მიმართულებით დიდუბის ავტოსადგურიდან იმოძრავებენ. 14 ოქტომბერს ქალაქ მცხეთაში სხვა სახის ტრანსპორტის მოძრაობა იკრძალება. (ნიუპოსტი)

## „კიდევ ერთხელ მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ ლუსტრირება“




საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი ზურაბ აბაშიძე ევროსაბჭოს თანამომხსენებლის მაიკლ იენსენის ინტერვიუს აფასებს. მისი აზრით, იენსენის განცხადებები სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ კიდევ ერთხელ მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ ლუსტრირება, როგორც პოლიტიკური ძალის, რომელიც ცდილობს, იმოქმედოს პარტიზანულად.

„რეზოლუციაში საკმაოდ ტენდენციური ელემენტები არსებობდა, რომელსაც, სამწუხაროდ, ნაკლები დრო დაეთმო. ის ნაწილი, რომლის წარმოჩენასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობდა, განხორციელდა კიდეც. ჯობდა, ეს არ ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ „ევროპის სახალხო პარტია“ არის საკმაოდ სოლიდარული „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ეს არის მათი მეგობარი პარტია ევროპაში და მათი ინტერესები ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. ჩვენ არაერთხელ ვთქვით, რომ კანონის წინაშე არის ყველა თანასწორი, დანარჩენს, ყველაფერს, სასამართლო გადაწყვეტს, ბუნებრივია, ასეთი რეკომენდაციები მართლმსაჯულებას აღემატება და რახან ასეთი მოსაზრებები აქვს სასამართლოს, ჩვენ სხვანაირად უნდა მოვიქცეთ?! რა თქმა უნდა, არა. ჩვენ უნდა განვაგრძოთ ის, რომ განვამტკიცოთ ქვეყანაში სასამართლოს დამოუკიდებლობა და მისი ნდობა“, – განაცხადა აბაშიძემ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „განათლების სამინისტრო აგრძელებს ლომაია-შაშკინის კურსს“




განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ივანე კილურაძემ კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე ესწრებოდა, განაცხადა, რომ სამინისტრო, ფაქტობრივად, აგრძელებს ლომაიასა და შაშკინის კურსს.

„ნაციონალების ხელისუფლებამ ის კვლევითი დაწესებულებები დაანგრია, რომლის წყალობითაც საქართველო დამკვიდრდა მსოფლიოს ინტელექტუალურ რუკაზე. ახლა რა გამოდის, იმათ დაანგრიეს, ხელში ჩვენ მოგვცეს პისტოლეტი, რომ საკონტროლო გასროლა შევასრულოთ და ბოლო მოვუღოთ? არადა, სანამდე იარსებებენ ეს ადამიანები?! პირადად მე არ მქონდა ლუკმაპურის პრობლემა, მაგრამ რომ დაინახავ, ღირსეული, მართლაც გამოჩენილი მეცნიერები საშინელ პირობებში არიან, როგორ შეიძლება, დამშვიდებული ვიყო? ფაქტობრივად, დღეისთვის ეს სიტუაცია გვაქვს და გამოდის, რომ სამინისტრო აგრძელებს ლომაიასა და შაშკინის კურსს. როგორ მდგომარეობაშიც იყო კვლევითი ინსტიტუტები, ისეთ მდგომარეობაში არიან დღესაც“, – აღნიშნა ივანე კილურაძემ.

განათლების ყოფილმა მინისტრმა გუჩა კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ ადამიანი, რომელიც ქვეყნის მეცნიერებას უნდა განაგებდეს, აუცილებლად მეცნიერი და სამეცნიერო დაწესებულებაში ნამუშევარი უნდა იყოს. შენიშვნებს განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ უპასუხა და აღნიშნა, რომ სიჩქარე დამღუპველია და აუცილებელია თანმიმდევრული ნაბიჯები.

„ნუ შევიყვანთ ნურავის შეცდომაში. გასაგებია, რომ ყველაფერი ძალიან გვეჩქარება. მე არ ვამბობ, რომ მეცნიერებს აქვთ ანაზღაურება, რასაც ისინი იმსახურებენ, მაგრამ ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ ეს პრობლემები გადაიჭრას. სურათი, რომელიც დაიხატა, ნიშნავს, რომ დაინგრა და დაიქცა ყველაფერი და არაფერი არსებობს. ძალიან თანმიმდევრულად მივყვებით ყველაფერს და რაღაც ეტაპამდე მივედით. მე მგონი, მივდივართ სწორი მიმართულებით“, – განაცხადა სანიკიძემ. (რეპორტიორი)



ციროთ როგორმე, თუნდაც სასაფლაოს ფუნდამენტის ჩასხმის ხარჯები, რადგან ხალხს უჭირს და ვერ იხდის.

**— კიდევ ერთი პრეტენზია: 20 წლის მანძილზე თუ მიცვალებულის პატრონი არ გამოჩნდებოდა, ზედ სხვას ასაფლავებდნენ, ეს საკითხი დიდი ვნებათაღელვის საგანი იყო, ამის გადახედვას აპირებთ?**

– აუცილებლად. ამ საკითხზეც ვუთხარით მათ, რომ უნდა გადაიხედოს. შეიძლება, 20 წელი პატრონი მართლაც არ გამოჩნდეს, მაგრამ ხომ უნდა აღვრიცხოთ მაინც, ვის ჰყავს პატრონი და ვის – არა. საუბარი იყო იმაზე, რომ სასაფლაო შევსებულია და ზედ ხდებოდა დასაფლავება ადამიანის, რომელიც ცალკე ხარჯებთან იყო დაკავშირებული. სწორედ ეს უნდა გადაიხედოს და ხარჯები შემცირდეს.

**— იქნებ ემიგრაციაშია პატრონი წასული და ვერ ჩამოდის?**

– სწორედ ამაშია საქმე, ამიტომ უნდა აღირიცხოს, ინვენტარიზაციაა ჩასატარებელი სასაფლაოებზე.

**— ერთ-ერთი სერვისი — საფლავის მოძიება ჯდებოდა დღეში 50 ლარი და თუ ვერ იპოვიდნენ, თანხას უკან არ აბრუნებდნენ. მართლა ეძებდნენ თუ არა, არ ირკვეოდა. ამაზე თუ ისაუბრეთ?**

– დიახ, ვისაუბრეთ. ეს საქმე ფინანსურს განეკუთვნება და დეტალურად უნდა იქნას განხილული. წარმოადგენენ წინადადებებს თვე-ნახევარში და მივიღებთ გადაწყვეტილებას. მოეკითხეთ ყველა საკითხი, ყველაფერი უნდა იყოს გამჭვირვალე და ადამიანი არ უნდა წვალობდეს. ვნახოთ, რას იზამს ახალი მენეჯმენტი, სურვილი და მონდომება არ აკლიათ და ვნახოთ. მათ მივეცით დავალებები და წარმოგვიდგინენ. რაც ველაპარაკეთ, ყველაფერი მისაღებად მიიღეს, საკანონმდებლო ბაზის შეცვლაშიც დაგვეთანხმნენ, ჰქონდათ შეკითხვები, მაგრამ ჯერ არ წარმოუდგენიათ წინადადებები. წარმოიდგინეთ, 30 დეპუტატი, რომელიც ამ თემაზე არის აღელვებული და გაბრაზებული და იძლევა კითხვებს. მაქსიმალურად მცირე ვადაში შეისწავლიან სიტუაციას და მოამზადებენ წინადადებას, ჯერ სიტუაციაში უნდა გაერკვნენ და რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გაკეთდეს ყველაფერი. კონტროლის ქვეშ გვეყოლება ყველა ეს საკითხი.

**— კერძო სასაფლაოებზე რამე იგეგმება?**

– ეს საკითხი წამოიჭრა და გადავწყვიტეთ, გავაკეთოთ ზედამხედველობა ამაზეც. ჩვენ არ ჩავერევით მათ თანხებში და შიდა საქმეებზე, მაგრამ მონიტორინგს გავუწევთ. სწრაფად შეიძლება ბევრი რამის გაკეთება, მაგალითად, განათებისა და წყლის შეყვანის პრობლემის მოგვარება, ნაგავის გასატანი სასაფლაოდან და გვინდა, ამ თვე-ნახევარში დაიწყოს კონკრეტული ქმედება.

# რატომ ამცირებს „ჰერმესი" დაკრძალვის ხარჯებს

საკრებულოში „ჰერმესის" ხელმძღვანელობას მოუსმინეს. თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, გოჩა ბაბუნაშვილის განცხადებით, ვითარება ამ ორგანიზაციაში არასახარბიელოა, სწორედ ამიტომ, მათ დეტალური ინფორმაცია მოითხოვეს მუნიციპალური შპს-ს ხელმძღვანელისგან სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით.

***კონკრეტულად რაზე ისაუბრეს შეხვედრაზე და რა კონკრეტული პრობლემები გამოიკვეთა „ჰერმესთან" დაკავშირებით, ამ საკითხებზე „ალია" გოჩა ბაბუნაშვილს ესაუბრა:***

**— შეხვედრამდე აცხადებდით, რომ არასახარბიელო სიტუაციაა „ჰერმესში". შეხვედრის შემდეგ კონკრეტულად რა გამოიკვეთა?**

– ძალიან რთული და მძიმე სიტუაცია იყო ნამდვილად. სასაფლაოებთან მისასვლელი გზების ინფრასტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს, სასაფლაოებზე არ არის განათება, უნდა ჩატარდეს სასაფლაოების აღრიცხვა. არსებობს ადგილები, რომლებიც წლების მანძილზე უპატრონოდ იყო მიგდებული, აღრიცხვა არ ხდებოდა მათი, რის გამოც ჩვენ არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს. ახალ მენეჯმენტს განთვებასთან დაკავშირებით მივეცი დავალება, რომ თვე-ნახევრის მანძილზე წარმოადგინონ წინადადებები განსახილველად, რომ მერე კომისაზე განვიხილოთ. ამ შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ შესაცვლელია საკანონმდებლო ბაზა. არსებობს წინა მერიის მთავრობის განკარგულება, რომლის მიმართულებებიც ან გასაუქმებელია, ან შესაცვლელი.

**— კონკრეტულად?**

– კონკრეტულად გვინდა გამარტივება პროცესის, რომ ადამიანებს გაუადვილდეთ რიტუალის ბოლომდე მიყვანა. ტარიფების ნაწილში დავავალეთ, იქნებ როგორმე მოხდეს გადასახადის შემცირება მაქსიმალურად.

**— დაგთანხმდნენ?**

– დიახ, ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა და ახალი მენეჯმენტი თანახმაა, მოამზადოს თავისი წინადადებები, რომ მერე მერიის სხდომაზე გავიტანოთ და საკრებულომ დაამტკიცოს.

**— გარდაცვლილის ოჯახები ხშირად გამოთქვამდნენ პრეტენზიას, რომ თანხას იხდიდნენ და ან იმ სერვისს არ იღებდნენ, რაც ეკუთვნოდათ, ან სასაფლაოს მოწყობაში დამატებით ფულს ახდევინებდნენ. ამაზე ისაუბრეთ?**

– მართალი ბრძანდებით, მთავარი პრობლემა იყო ის, რომ „შავი ბაზარი" მუშაობდა აქამდე და ყველაფერი ხდებოდა გაუმჭვირვალედ. როცა იცის ადამიანმა, რომ მას აქვს ამდენი და ამდენი გადასახადი და დადგინდება ფასი, მერე არ უნდა იყოს პრობლემები. საუბარია ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფ სასაფლაოებზე. 350 ლარი ჯდება და გვინდა, ეს თანხა შევამ-



ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოს პატრიარქი კვიპროსს მოილოცავს



17-22 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე კვიპროსს მოილოცავს.

როგორც საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარემ, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა მეუფე გერასიმემ განაცხადა, კვიპროსში ილია მეორე კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარეპისკოპოსის, მისი უნეტარესობა ქრიზოსტომოს I-ის მიწვევით ჩაბრძანდება.

„როდესაც მისი უნეტარესობა ქრიზოსტომოსი ბრძანდებოდა საქართველოში, მან მიიწვია პატრიარქი კვიპროსზე საპასუხო ვიზიტით", – აღნიშნა მიტროპოლიტმა.

მისივე თქმით, კვიპროსში გაიმართება ერთობლივი წირვა, უწმინდესი მოილოცავს კვიპროსზე არსებულ უძველეს ქართულ მონასტერს ღალიას, რომელიც ღვთის შეწევნით აღდგა.

„მონასტერში აღსრულებული ქტიტორების და სასულიერო პირების სახსოვნებლად პანაშვიდი ჩატარდება. უწმინდესი ასევე ესტუმრება კიკოსის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერს, სადაც ასევე პარაკლისს გადაიხდის", – აღნიშნა მეუფე გერასიმემ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## „დომინუსის" დირექტორს გირაო შეუფარდა



თბილისის საქალაქო სასამართლომ კომპანია „დომინუსის" გენერალურ დირექტორს გიორგი გურულს და მასთან ერთად დაკავებულ გია პირველაშვილს აღმკვეთ ღონისძიებად 50-50 ათასი ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა.

მოსამართლე, ვახტანგ მრელაშვილმა, ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით.

განხილვა სასამართლოში სამ საათზე მეტხანს მიმდინარეობდა. დაცვის მხარე ორივე დაკავებულისთვის აღმკვეთ ღონისძიებად 10 000-ლარიან გირაოს ითხოვდა.

სხდომაზე ადვოკატებმა წარადგინეს აუდიომტკიცებულებები, რომელიც გიორგი გურულის დაკავების პროცესს ეხებოდა.

ადვოკატ გაგა მოსიაშვილის განცხადებით, გურულის დაკავებისას დაირღვა საპროცესო ნორმები, კერძოდ, დაკავებულ რამდენიმე საათის განმავლობაში არ მიეცა ადვოკატთან გასაუბრების შესაძლებლობა და მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო ოჯახის წევრებისთვის. (ნეტგაზეთი)



## რუსმა ოკუპანტებმა კიდევ ერთი ქართველი გაიტაცეს

რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დააკავეს. ის გორის რაიონის სოფელ ზერშუეთიდან აიყვანეს, რომელიც ოკუპირებულ ცხინვალს ესაზღვრება.

დაკავებული 37 წლის მამაკაცია. იმედა ბერიანიძე ოჯახის წევრების განმარტებით, მინდორში საქონელს მწყემსავდა. მათივე ინფორმაციით, ის უკვე მესამე დღეა ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. (ნეტგაზეთი)

## ცნობილი ქართველი ქალების ტრაგიკული სასიყვარულო ისტორიები

იმ ვარსკვლავების შესახებ მოგითხრობთ, ვისი სიყვარულის ისტორიაც ტრაგიკულად დამთავრდა.

ვერიკო ტურაშვილი – ვერიკო ტურაშვილი საკუთარი სიყვარულის ისტორიაზე ხმამაღლა არასდროს ლაპარაკობს. ეს მისთვის მტკივნეული თემაა. მისი მეუღლე გოშა ბერუჩაშვილი ავტოკატასტროფაში დაიღუპა, ამბობენ, რომ გოშა და ვერიკო მაშინ ნაჩხუბრები იყვნენ. წყვილმა ერთმანეთი თეატრალურში გაიცნო. გოშა ყოველთვის ვერიკოსთან ერთად დადიოდა ყველგან და ცდილობდა, მისთვის კარიერის აწყობაში ხელი შეეწყო. საკმაოდ პატარა ასაკში იქორწინეს და 20 წლის ვერიკო პატარა ლიზის დედა გახდა. როცა გოშა დაიღუპა, ლიზი 3 წლის იყო და

მამა ფრაგმენტულად ახსოვს. ვერიკო დიდხანს იყო მარტო, შარშან კი ახალ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად დედამთილთან და ქალიშვილთან ერთად. როგორც ამბობენ, ახლა ვერიკო შეყვარებულია, მისი რჩეული „რუსთავი 2“-ის ოპერატორი ლაშა ნაკაიძეა.

ქრისტინე იმედაძე – ქრისტინე იმედაძის პირველი სიყვარული სერგუნა ტრაგიკულად დაიღუპა. მომღერლის შეყვარებული ავტოავარიამ იმსხვერპლა. ქრისტინესა და სერგუნას პრინცსა და პრინცესას ამსგავსებდნენ. სერგუნა საზღვარგარეთ სწავლობდა და თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა. მის გამოგზავნილ საჩუქრებს ქრისტინე დღემდე ინახავს. ისინი დაახლოებით ერთი წელი მეგობრობდნენ. იმ დღეს, როცა სერგუნამ ქრისტინეს სიყვარული აუხსნა, მომღერალი გაციებული იყო, საღამოს კი სიცხემ აუწია. სერგუნას უნდოდა ქრისტინეს გასამხიარულებლად მისთვის საჩუქრები მიეტანა, სწორედ იმ დროს, როცა ქრისტინეს ტელეფონით ესაუბრებოდა, ავტოავარიაში მოხვდა. ქრისტინე დღემდე ამბობს, რომ სერგუნას ფონზე ყველა მამაკაცი შავ-თეთრი გახდა. ქრისტინე სერგუნას დღემდე ხედავს სიზმრებში, ხშირად დადის მის საფლავზე და ყვავილები მიაქვს. „პროფილში“ სტუმრობისას ქრისტინემ თქვა, რომ სერგუნა მის ყოფილ მეუღლეს, ლაშა ჯაკობიასაც ესიზმრებოდა.



ნინა წკრიალაშვილი – მომღერალ ნინა წკრიალაშვილის ქორწინება ერთი წლის წინათ ტრაგიკულად დასრულდა. მისი მეუღლე თენგო წივწივაძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ავტოავარიაში მოხვდა. ნინამ და თენგომ ერთმანეთი დაახლოებით ორი წლის წინათ, ლიტვაში გაიცნეს, სადაც საქართველოს კალათბურთის ნაკრების თამაშებზე იყვნენ ჩასული. პირველი პაემანი კი თბილისში ჰქონდათ. ნინაზე ამ სიყვარულმა ძალიან იმოქმედა, მეორედ გათხოვების გადაწყვეტილებაც მალე მიიღო. თენგოს გვერდით თავს ბედნიერად გრძნობდა, ამიტომ მასთან უეცარი განშორება ყველას გაუკვირდა. ერთად რამდენიმე თვე იცხოვრეს. ნინას თენგო დიდხანს სთხოვდა შერიგებას, მაგრამ მომღერალი უარს ამბობდა. ყოფილი ქმრის გარდაცვალება მომღერალმა ძმისგან შეიტყო და ეს ამბავი რთულად გადაიტანა.

*ambebi.ge*



## რა ინტრიგას მალავს თამუნა მუსერიძის მესამე ქორწინება — ტელეწამყვანის მორიგი „აფიორა“?



ტელე-რადიოწამყვანის მესამე მეუღლე მსახიობი გიორგი გაგლოევია. თამუნას თქმით, ქორწინების შესახებ მისმა შვილმა ჯერ არაფერი იცის.

– ხუმრობა ნამდვილად არ არის. დავქორწინდით. ბედნიერად ვართ და კარგად ვართ. ჩემმა უახლოესმა სამეგობრომაც არ იცოდა ეს ამბავი და ჩვენი გადაწყვეტილება. ჩემი შვილისთვის ჯერ ამის შესახებ არაფერი მითქვამს. მხიარული ქორწილ-დაბადების დღე დილამდე გაგრძელდა, – განაცხადა მუსერიძემ. თუმცა, როგორც მოარული ხმები ამბობენ, მუსერიძისა და გაგლოევის ქორწინება ფალსიფიკაციაა და ეს დადგმა ერთ-ერთი ტელეშოუსთვის გათამაშდა.

*ambebi.ge*



## ვის ჰგავს გეგა ფალავანდიშვილის შვილი



გეგა ფალავანდიშვილისა და რუსკა გამყრელიძის შვილი – მიქაელა იანვარში დაიბადა. გოგონა ჯერ ერთი წლისაც არაა, თუმცა ისეთი მაღალი და პუტკუნაა, ყველას ასაკით გაცილებით დიდი ჰგონია.

რუსკასა და გეგას მეგობრები მიქაელას „პონჩიკასა“ და „ნაკეცას“ ეძახიან. რამდენიმემ კომენტარებში ისიც დაწერა, რომ ბავშვი საერთოდ არ ჰგავს მამას. თუმცა აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც გეგას ბავშვობის ფოტო ჰქონდათ ნანახი და ამტკიცებენ, რომ გეგა ამ ასაკში ზუსტად ასე გამოიყურებოდა.

მიქაელას 2 წლის ბავშვის სამოსი აცვია. ვინც გეგასა და რუსკას ოჯახის წევრებს კარგად იცნობს, იმასაც ამბობს, რომ ბავშვი სიმაღლით ბაბუას, მამუკა გამყრელიძეს შეიძლება დაემსგავსოს.

მამუკა გამყრელიძე, რომელმაც წლების წინათ „ჯი-ემ-ჯი“ ჩამოაყალიბა და მოგვიანებით ჩინეთის ელჩად დანიშნეს, მართლაც ძალიან მაღალია. ის ადრე კალათბურთსაც თამაშობდა და მას წარმატებულ კალათბურთელობას უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა მამუკამ ბიზნესი აირჩია. შესაძლოა, მიქაელამ სწორედ ბაბუას გზა აირჩიოს და კალათბურთელი გახდეს. თუმცა ამაზე საუბარი, ალბათ, ძალიან ადრეა...

*reitingi.ge*



## ვის ძუძუებში ჩარგო თავი ლევან წულაძემ



ამერიკელი სიუზან საქსი საქართველოში სპეციალურად „ნიჭიერისთვის“ ჩამოვიდა. ამ მართლაც უნიკალური ზომის მკერდის მქონე ქალბატონმა „ნიჭიერის“ სცენაზე გამოსვლისთანავე მაყურებელი შოკში ჩააგდო.

მას უკან პროექტის წამყვანები, ვანიკო თარხნიშვილი და გიორგი ყიფშიძე მოჰყვებოდნენ. სწორედ მათ ეკავათ მაგიდაზე განთავსებული ქილები, რომლებიც სიუზანმა ცალი ძუძუთი დაჭყლიტა.

ქერათმიანმა ამერიკელმა ეს არ იკმარა და ხის საკმაოდ სქელი ჯოხი სამი დარტყმით გატეხა. ბოლოს კი სპეციალურ სადგამზე შემოდებულ საზამთროსაც მოუღო ბოლო. თან ამ ყველაფერს მუსიკის ფონზე, ცეკვა-სიმღერით აკეთებდა. ნომრის დასრულებისთანავე ჟიურიმ სიუზანს მათთან მიახლოვება სთხოვა. პირველი ლევან წულაძე ეამბორა სიუზანს მკერდზე – ჭოლამ მაღალფეხება ქალის მკერდში თავი ჩარგო, რამაც მაყურებლის მხიარულება გამოიწვია.



ია ფარულავამ ხელით მოსინჯა სიუზანის უნიკალური მკერდი, ნანუკამ კი მეტი დამაჯერებლობისთვის კონკურსანტს კაბა გამოუწია და შიგნით ჩაიხედა.

სცენაზე სიუზანი კვლავ ენერგიულად დაბრუნდა, მანამდე პირველ რიგში ფილარმონიის დაცვის თანამშრომელს ეამბორა თავზე და სავარაუდოდ, იმავეს გაკეთებას უპირებდა, რასაც ჭოლას, მაგრამ შეშინებულმა დაცვამ უარის ნიშნად ხელები გაასავსავა.

გადაიყვანეს თუ არა ამერიკული „ნიჭიერის“ მონაწილე სიუზანი ქართული „ნიჭიერის“ შემდეგ ტურზე, ამას პროექტიდან შეიტყობთ. „ნიჭიერის“ პირველი გადაცემა 27 ოქტომბერს გავა ეთერში.

*reitingi.ge*



## რობერტ სტურუა: „ძალიან მინდა, ავად რომ გავხდე! მაგრამ ვინ მაღირსებს ერთ გემრიელ, არც ისე საშიშ დაავადებას?!“



რეჟისორი რობერტ სტურუა სოციალურ ქსელში თავისი უცნაური სურვილის შესახებ წერს.

– როგორც სკოლაში ვნატრობდი, ისე ვნატრობ, ავად რომ გავხდე! ისეთივე სიძლიერით ვთხოვ განგებას: ძალიან მინდა ავად რომ გავხდე! მინდა, რომ მივლიდნენ, მეფერებოდნენ, კარგად დაფერთხილი თერმომეტრით სიცხეს მიზომავდნენ (ალბათ, გემრიელი კერძებით გამანებივრებდნენ!..), მნახველები ხილს მომიტანდნენ, დიდხანს ლაპარაკს დაუშლის ჩემი ექიმი – გრილ ხელს კი შუბლზე დამადებს, ცივი თითებით ოდნავ ღვიძლს მატკენს... თეატრსა და პოლიტიკაზე ლაპარაკს ამიკრძალავდა, არავის არაფერი უპასუხოო – არც ხმალამოღებულ მამაკაცს და არც გაშმაგებულ ქალს, მით უმეტესო... ვიწვებოდი ჩემთვის, წიგნის კითხვის დროს ჩავთვლემდი... ო, როგორ მომენატრა ტკბილი ძილი... მაგრამ ვინ მაღირსებს ერთ გემრიელ, არც ისე საშიშ დაავადებას?! როგორც სკოლაში, არდადეგების დროს დამაგდებს ვერაგი სენი და დაიწყება: ნემსები, ქიმიო... მლიქვნელი ჩინოვნიკივით ექიმებს ღიმილს რომ ჩუქნი, იქნებ სიმართლე არ მითხრას... ეჰ-ეჰ! – წერს სტურუა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. მეჭე-ჭებიანი ბაყაყი
2. ლურჯი ვეშაპის საკვები
3. „იდიოტი“ ავტორი
4. ზიგზაგის ფორმის გრაფიკი
5. სამოსი ფიგურის კორექ-ციისათვის
6. მომ-ღერალი ... დიონი
7. უმცროსი სამედიც. პერსო-ნალი
8. მი-მართვა იაპონელი ქალისადმი
9. რე-ჟისორი სერგეი ...
10. მწერალი არტურ კონან ...
11. ფირმა „...-პარი“
12. მდინარე საფრან-გეთში
13. მსახ. დონატას ...
14. მელ გიბსონი ფილმში
15. ვახტანგ ჭაბუკიანი ბალეტში
16. პარფიუ-მერული სითხე
17. ქვეითი ჯარის-კაცი ოსმა-ლეთში
18. ნივ-თიერება. მიიღება სისხლის პლაზმისგან
19. აერო-პორტი ქუთაის-თან
20. მომ-ღერალი ალანის ...
21. ზრდა-დაუსრუ-ლებელი ქათამი
22. მსახიობი ჯონ ...
23. მექსიკური ქუდი
24. ლატვიის დედაქა-ლაქი
25. კუნძული აფრიკას-თან
26. ორსახა ღმერთი
27. დამპ-ყრობელი ... კორტესი
28. ვი-ეტნამის დედაქა-ლაქი
29. თავი-სუფალი სამუშაო ადგილი
30. ბრიუს უილისი ფილმში
31. მსახიობი ... ლონგორია
32. ხორთუ-მიანი ცხოველი
33. ... პოპესკუ გოგო
34. ქოქოსის გული
35. ჩაით გაშენე-ბული ადგილი
36. უქორწო თუთი-ყუში
37. ტარზანის როლში ჯონი ...
38. დედა-მიწის მიზიდუ-ლობა
39. შავი საიუვე-ლირო მინერალი
40. სავანის ბინადარი ფრინველი
41. მსახიობი ვიტორიო ...
42. მდინარე ინდოეთში
43. პატარა გამხდარი ადამიანი
44. სპორტ. შეჯიბრის დასა-წყისი
45. ვულკანი სიცილი-აზე
46. თოჯინა ლურჯი თმებით
47. გადა-სარავ-ლებელი ხელსაწყო
48. მწერი
49. ერთყუ-რიანი სათვალე
50. რა იზრდება ქვაზე
51. რაიმეს სახელური
52. იგავი „მგელი და ...“
53. ლითონის წვრილი ფული
54. თვით-მფრინა-ვის ბორბალი
55. სიახლე, ანუ ...
56. დუმბაძე. „მარადი-სობის ...“
57. საათის ციფრე-ბიანი ფირფიტა
58. მწვანე მინერალი
59. ადამიანი-ობობა
60. ილფი და პეტ-როვი. „ოქროს ...“
61. ქვა-ნახშირის აუზი გერმანიაში
62. ებრაული რიტუალ. ხმიადი
63. ნიავი
64. მემარც-ხენე ადამიანი
65. კაცუნა ზურგზე პროპე-ლერით
66. მთამსვ-ლელი
67. მოვ-ლენა: ჩრდილო-ეთის ...
68. ... ხრენნი-კოვი
69. მთიდან არეკლილი ხმა
70. მსახიობი ჟერარ ...
71. ცოდ-ვების გამოსას-ყიდი ფურცელი
72. მწერალი ... იოსელიანი
73. ელვის ... პრესლი
74. ციებ-ცხელება
75. ძვლების დაავა-დება
76. რუსი თავადი ძველად
77. დიდი ციგა
78. მსახიობი ნუგზარ ...
79. გულის მთავარი სისხლ-ძარღვი
80. დადებითი ელექტ-როდი
81. ის-რაელის დედაქა-ლაქი
82. მკურნალი, ანუ ...
83. დაკოდილი ცხენი
84. სახელმ-წიფო აფრიკაში
85. ჩეხოვი. „... №6“
86. მარჯნის კუნძული
87. პორტი საფრან-გეთში
88. მსახიობი ... დემონჟო
89. ძველი ასურეთის დედაქა-ლაქი
90. მსახიობი ჯულიეტა ...
91. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
92. შენობა. ჭრიდნენ მონეტებს
93. ფრინველის რქოვანა პირი
94. ტროპი-კული ნაყოფი
95. მომ-ღერალი ... მატიე
96. კურორტი ხარაგა-ულის რაიონში
97. მსახიობი ... სპეისეი
98. ბრედ პიტი ფილმში
99. მსახიობი ... ბროუდი
100. კურორტი თურ-ქეთში
101. მისი დედაქა-ლაქია დამასკო
102. ფარული დაცინვა
103. ინის საპირის-პირო
104. შტატი აშშ-ში
105. თავი-სუფალი ფორმის ნაწარ-მოები
106. ხერ-ხემლის გაღუნვა წინისკენ
107. შინაური პირუტყვი
108. ხის სახლის მშენებელი
109. რბილი ავეჯი
110. მსახიობი ... კალკინი
111. ვიოლინოს წინამორ-ბედი
112. ვარამი
113. მსახიობი ... აბაშიძე
114. ბრინჯის კერძი
115. წერილი (ძვ.)
116. მსახიობი მეგ ...
117. სიყვა-რულის ღმერთი ბიჭუნა
118. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
119. აუქციონზე გატანილი ნივთი
120. კონტი-ნენტი
121. სოფელი რაჭაში
122. ბაბუა, ანუ ...
123. „ქალი კამელი-ებით“ მარგარიტა ...
124. მარცხი
125. ხელოვ-ნური ენა
126. ... სულაკა-ური
127. ... პუგაჩოვა
128. ფიგუ-რული ჭრა ხეზე
129. ... ცეცხლს შუა
130. ცხენებ-შებმული ტრანს-პორტი
131. გაუშლელი ყვავილი
132. რუსი ილუზიო-ნისტი
133. მუს-ლიმანთა წმინდა ქალაქი
134. ჟამი
135. პო-ლიცია სკოტლენდ ...
136. სათლი
137. ტენორი ... ლანცა

პასუხები: 1. გომბეშო; 2. პლანქტონი; 3. დოსტოევსკი; 4. სინუსოიდა; 5. კორსეტი; 6. სელინ; 7. სანიტარი; 8. ტიან; 9. ფარაჯანოვი; 10. დოილი; 11. ისი; 12. ლუარა; 13. ბანიონისი; 14. „პატრიოტი“; 15. „ლაურენსია“; 16. სუნამო; 17. იანიჩარი; 18. შრატი; 19. კოპიტნარი; 20. მორისეტი; 21. ვარია; 22. ტრავოლტა; 23. სომბრერო; 24. რიგა; 25. მადაგასკარი; 26. იანუსი; 27. ერნან; 28. ჰანოი; 29. ვაკანსია; 30. „არმაგედონი“; 31. ევა; 32. ტაპირი; 33. იონ; 34. კოპრა; 35. პლანტაცია; 36. არა; 37. ვაისმიულერი; 38. გრავიტაცია; 39. გიშერი; 40. მარაბუ; 41. გასმანი; 42. განგი; 43. ჩია; 44. სტარტი; 45. ეტნა; 46. მალვინა; 47. ქსეროქსი; 48. კალია; 49. ლორნეტი; 50. ხავსი; 51. ტარი; 52. კრავი; 53. ხურდა; 54. შასი; 55. ინოვაცია; 56. კანონი; 57. ციფერბლატი; 58. მალაქიტი; 59. სპაიდერმენი; 60. კერპი; 61. რური; 62. მაცა; 63. სიო; 64. ცაცია; 65. კარლსონი; 66. ალპინისტი; 67. ციალი; 68. ტიხონ; 69. ექო; 70. ფილიპი; 71. ინდულგენცია; 72. ოტია; 73. აარონ; 74. მალარია; 75. რაქიტი; 76. ბოიარი; 77. მარხილი; 78. შარია; 79. აორტა; 80. ანოდი; 81. იერუსალიმი; 82. ექიმი; 83. იაბო; 84. სენეგალი; 85. პალატა; 86. ატოლი; 87. მარსელი; 88. მილენ; 89. ნინევია; 90. მაზინა; 91. მისისიპი; 92. ზარაფხანა; 93. ნისკარტი; 94. მანგო; 95. მირეი; 96. ნუნისი; 97. სისი; 98. „ტროა“; 99. ედრიან; 100. ანტალია; 101. სირია; 102. ირონია; 103. იანი; 104. ნევადა; 105. ესე; 106. ლორდოზი; 107. ხარი; 108. ხურო; 109. დივანი; 110. მაკოლეი; 111. ვიოლა; 112. დარდი; 113. დოდო; 114. ფლავი; 115. უსტარი; 116. რაიანი; 117. ამური; 118. მალტა; 119. ლოტი; 120. აზია; 121. ირი; 122. პაპა; 123. გოტიე; 124. ფიასკო; 125. იდო; 126. ზაალ; 127. ალა; 128. ინკრუსტაცია; 129. ორ; 130. ეტლი; 131. კოკორი; 132. კიო; 133. მექა; 134. დრო; 135. იარდი; 135. ვედრო; 137. მარიო. იკითხება: მარაო.



– მშვენიერი საღამოა... იქნებ ჩემთან ავსულიყავით, ყავას დავლევდით...

– რა ვიცი, ასე გვიან ყავა...

– ძალიან გთხოვ! უკვე წელიწად-ნახევარია, ყავა არ მქონია...

*****

– რისთვის გინდა ყურები? – ეკითხება აღმზრდელი ბავშვს.

– ყველაფერი რომ დავინახო!

– ჰო, მაგრამ ამისთვის ხომ თვალები გაქვს?

– აბა, ყურები რომ არ მქონდეს, ქუდი თვალებზე ჩამომეფხატებოდა და ვერც ვერაფერს დავინახავდი!..

*****

ორი საჭურისი ოპერაციის დასრულების შემდეგ საუბრობს:

– ის ხომ არ ჰყოფნით, კასტრირება რომ ჩაგვიტარეს, დაგვცინიან კიდეც!

– როგორ?

– გვეუბნებიან, ქორწილამდე შეგიხორცდებათო...

*****



– რიგითო გობეჯიშვილო, გამოდით მწყობრიდან!

გობეჯიშვილი უგონოდ ეცემა. ბრაგვანი...

მეთაური:

– რა სჭირს?!

– მწყობრიდან გამოვიდა!..

*****

კოტე მომხიბვლელ სექსოლოგთანაა მიღებაზე:

– ექიმო, 24-საათიანი ერექცია მაქვს და იქნებ რაიმე შემომთავაზოთ?

– სიამოვნებით! შემიძლია, შემოგთავაზოთ 4-ოთახიანი ბინა, სამჯერადი კვება და თვეში 1000 ევრო!!!

*****

– ქალები თითქმის დაუცველები არიან, სანამ ფრჩხილებზე მანიკიური არ გაუშრებათ!..

*****

ქორწილის წინ მამა ვაჟს ჭკუას არიგებს:

– შვილო! სანამ უღელს დაიდგამ, ორი ძალიან მნიშვნელოვანი რჩევა უნდა მოგცე: პირველი – აუცილებლად მიაღწიე ცოლთან იმას, რომ მოგცეს უფლება, კვირაში ერთი დღე მეგობრებთან გაატარო...

– კარგი, მამა. და მეორე რჩევა?

– არასოდეს გაატარო ის ერთი დღე მეგობრებთან!..

*****

– სამწუხაროდ, ხელფასს ვერ გაგიზრდით!

– გაზრდას არც გთხოვთ – იქნებ ხშირ-ხშირად გადამიხადოთ?

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*



## ჩვენი სამყარო ვირტუალურია. ალბათობა – 20 პროცენტი

კაცმა რომ თქვას, ისეთ საკითხთან მიმართებაში, როგორიც ჩვენი სამყაროს არსებობა-არარსებობაა, 20-პროცენტიანი ალბათობა საკმარისზე მეტად მაღალიც კია.

საერთოდ, საკმაოდ პოპულარულია ჰიპოთეზა იმის შესახებ, თითქოს, თითოეული ადამიანი არსებობს არა რეალურ, არამედ ვირტუალურ სამყაროში, რომელიც ჩვენს გარშემო კომპიუტერით იქმნება და იმართება.

ვინაიდან ნებისმიერ ვერსიას აქვს არსებობის უფლება, მეცნიერები დაინტერესდნენ, რამდენად მაღალია იმის ალბათობა, რომ ეს ყველაფერი მართლაც ასეა?

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ნიკ ბოსტრომი გვარწმუნებს, რომ მსგავსი მოვლენის ალბათობა დაახლოებით 20 პროცენტია.

საყოველთაოდ ცნობილია და კამათს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენი გონებრივი შესაძლებლობები თავის ტვინის მუშაობაზეა დამოკიდებული. ეს დამტკიცებულია უამრავი კვლევით და მოცემულ აქსიომას ეჭვქვეშ არავინ აყენებს. ასე და ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ტვინი იმ კომპიუტერული პროცესორების ზუსტი ასლია, რომლებიც კომპიუტერიზებულ მოწყობილობებში გამოიყენება. ამ სფეროში მეცნიერებმა გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს, როცა შექმნეს ხელოვნური ბადურა და ან სინაპსები, რომლებიც მუშაობისას აკოპირებენ და ხელახლა ქმნიან ტვინის გარკვეული მონაკვეთების ნერვულ იმპულსებს.

ამ ყველაფერს მეცნიერები იმისთვის ამბობენ, რომ შემდეგ უფრო უკეთ დაგვარწმუნონ ასეთ მოსაზრებაში:



– ეს ყველაფერი გვაძლევს უფლებას, ვთქვათ, რომ პოტენციურად, ჩვენი გონება შეიძლება „მყარი დისკიდან“ იყოს გაშვებული, – ამბობენ ჰიპოთეზის მხარდამჭერები.

სხვანაირად რომ ვთქვათ, შესაძლებელია ადამიანის გადატანა ვირტუალურ სამყაროში, რომელსაც ის აღიქვამს, როგორც რეალურს. რა თქმა უნდა, დღეისთვის არსებული ტექნოლოგიებით ასეთი რამის გაკეთება შეუძლებელია, თუმცა პოტენციურად სავსებით რეალიზებადი.

პროფესორი ნიკ ბოსტრომი მიიჩნევს, რომ, როგორც კი ადამიანი მსგავსი ვირტუალური სამყაროების „გაჩენას“ ისწავლის, მოსალოდნელია, რომ ის შექმნის ათობით და ასობით ასეთ სამყაროს.

თუკი არსებები, რომლებიც ვირტუალურ სამყაროში გაჩნდებიან, საკმარისად განვითარდებიან, ახლა უკვე თავად მივლენ იქამდე, რომ საკუთარი ვირტუალური სამყაროები შექმნან. შედეგად მიიღება მატრიცას ეფექტი მატრიცაში. იმის გაგება, თუ მატრიცას რა დონემდეა მისული სამყარო, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ, ვერ ხერხდება, რადგან თავად ასეთი მატრიცები შეიძლება ათასობით და მილიონობით იყოს.

**nanonewsnet.ru**

## ამერიკელი ახალგაზრდა „ბეემვეს“ ხანგრძლივი... ერექციის გამო უჩივის



„ბეემვეს“ ისტორიაში ეს არის ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე კურიოზული და უცნაური სარჩელი, რომელზეც თავის მართლება მოუწევს.

როგორც ირკვევა, კალიფორნიელი ჰენრი ვულფი ბავარიულ ავტოგიგანტს სასამართლოში უჩივის. ახალგაზრდის მტკიცებით, „ბეემვეს“ მოტოციკლმა მის ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიაყენა. კერძოდ, სარჩელში ნათქვამია, რომ მოტოციკლით მგზავრობის შედეგად, ახალგაზრდას გაუჩნდა ერექცია, რომელიც უკვე... 2 წელია, არ გამქრალა.

ხანგრძლივი ერექცია მედიცინისთვის უცხო მოვლენა ნამდვილად არ არის, მას პრიაპიზმა ეწოდება და შეიძლება, ძალიან ბევრი მიზეზის გამო გაჩნდეს.

ჰენრი ვულფი „ბეემვეს“ საკმაოდ სოლიდურ კომპენსაციას სთხოვს, თუმცა როგორ დამთავრდება სასამართლო დავა, წინასწარ რთული სათქმელია.

**etotupo.ru**

## ჩინეთში ყოველწლიურად მოხატული კამეჩების ფესტივალი იმართება



ის, რაც თავდაპირველად დაუპატიჟებელი სტუმრების შესაშინებლად გამოიყენებოდა, ახლა უკვე მასშტაბურ ფესტივალად არის გადაქცეული. ჩინური პროვინცია იუნანის მკვიდრები კამეჩებს ყოველ წელს ჭრელაჭრულა ფერებში ღებავენ, თავადაც ერთობიან და ტურისტებსაც ახალისებენ.

თურმე, ჯერ კიდევ უხსოვარ დროში კამეჩებს იუნანის უძველესი მოსახლეები ღებავდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ ამით თავს დაიცავდნენ ველური ცხოველებისგან, ძირითადად, ვეფხვებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ვეფხვების თავდასხმის საშიშროება ჩვენს დროში მეტ-ნაკლებად შემცირებულია, ადგილობრივები ტრადიციას მაინც არ ღალატობენ.

წელს ჩინურ-ლაოსურ-ვიეტნამურ ფესტივალში 48 გუნდი მონაწილეობდა. მათ მართლაც გასაოცარ ფერებში მოხატული ცხოველები წარადგინეს და თითოეულმა მათგანმა უდიდესი მოწონებაც დაიმსახურა.

**gazeta.ua**

## კიბოს ამოცნობა გაჩენამდე 10 წლით ადრე შეიძლება?



მართლაც შესანიშნავი სიახლე აქვთ მეცნიერებს მშვენიერი სქესის წარმომადგენლებისთვის. მათ შეძლეს და აღმოაჩინეს განსაკუთრებული გენი, რომელიც პასუხისმგებელია სარძევე ჯირკვლის კიბოს გაჩენაზე.

ჯერჯერობით, საუბარია მხოლოდ კონკრეტულად სიმსივნის ამ ერთ სახეობაზე, თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ მეცნიერები ანალოგიურ აღმოჩენას სხვა ორგანოებთან მიმართებაშიც გააკეთებენ.

რაც შეეხება სიახლეს, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ქალისთვის დიაგნოზის დასმა რამდენიმე წლით ადრე შეიძლება, რაც იმას ნიშნავს, რომ დაავადების შედეგად გარდაცვალების ალბათობა მინიმუმამდე შემცირდება. ამისთვის კი საჭიროა მხოლოდ სისხლის ანალიზის გაკეთება.

ზუსტად ასე მოიქცნენ ექიმები ლონდონის საიმპერიო კოლეჯიდან – ექსპერიმენტში მათ 1380 ქალი ჩართეს, რომლებმაც სწორედ სისხლის ანალიზი ჩააბარეს. დროთა განმავლობაში, მოხალისეების გარკვეულ რაოდენობაში, სამწუხაროდ, სიმსივნემ იჩინა თავი. პარალელურად, თითოეული დაავადებულის ორგანიზმში ერთი კონკრეტული გენის ცვლილებებიც მიმდინარეობდა.

კვლევის ავტორების განმარტებით, ეს ცვლილებები მათ დაავადების გაჩენამდე 10 წლით ადრე შენიშნეს.

ჯერჯერობით ბრიტანელი ექიმები ვერ ხვდებიან, რატომ უკავშირდება დაავადების გაჩენის რისკი ცვლილებებს კონკრეტულ გენში, თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ ზოგადად, ასეთი ფაქტი დამტკიცდა.

**myjane.ru**

## ლონდონის მუზეუმმა კრისტალებით გაფორმებული „მინი კუპერი“ მოქსოვილ „ფერარიში“ გაცვალა



თამამად შეიძლება ითქვას, ეს არის კაცობრიობის ისტორიაში ავტომობილების გაცვლის ყველაზე უცნაური ფაქტი.

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული „მინი კუპერი“, რომელიც „სვაროვსკის“ კრისტალებით გახლავთ მოოჭვილი, მოქსოვილმა „ფერარიმ“ ჩაანაცვლა.

მუზეუმი, რომელმაც ეს საქციელი ჩაიდინა, ლონდონში მდებარეობს და სახელიც საკმაოდ უცნაური აქვს: „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა“.

სხვათა შორის, მუზეუმს 26 ფილიალი აქვს, ძირითადად, თავად დიდ ბრიტანეთში, ამერიკასა და კანადაში და დამთვალიერებლების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის.



პრინციპში, როგორ არ ეყოლება დამთვალიერებლები ამ გიჟურ მუზეუმს, როცა მართლაც გასაოცარი ექსპონატები აქვს გამოფენილი?! მაგალითად, ოლიმპიური ჩირაღდნების კოლექცია, ასანთის ღერებისგან შექმნილი „ტიტანიკის“ მოდელი, ბრინჯის „საიდუმლო სერობა“, პურის „მონა ლიზას“ პორტრეტი, 10 ათასი წლის წინათ გადაშენებული გამოქვაბულის დათვის ჩონჩხი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

დიდი ხნის მანძილზე, მუზეუმის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა სწორედ „სვაროვსკის“ კრისტალებიანი „მინი კუპერი“ გახლდათ, რომლის ადგილიც ახლა მოქსოვილმა „ფერარიმ“ დაიკავა, „მინი“ კი ამიერიდან სხვა ფილიალში იპოვის თავის ადგილს.

**auto.lenta.ru**

## უახლოესი პერსპექტივა – სისხლძარღვების სამრეწველო წარმოება



ამერიკელმა მეცნიერებმა ლაბორატორიულ პირობებში შეძლეს ვენების შექმნა, რომელიც გულის ოპერაციასთან დაკავშირებულ აბსოლუტურად ყველა მოთხოვნას პასუხობს. ასევე, ძარღვების გადანერგვა შესაძლებელია ისეთი ბავშვებისთვისაც, რომლებსაც გულის სარქველის დეფექტები აღენიშნებათ.

სიახლის ავტორების განმარტებით, ვენების მისაღებად საჭიროა მხოლოდ ადამიანის კანის უჯრედები და შემდეგ რამდენიმეკვირიანი ლოდინი.

კარდიოლოგიის სფეროში გარღვევის გარდა, აღნიშნული სიახლე მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს სიცოცხლეს ისეთ პაციენტებს, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იძულებულნი არიან, დიალიზის პროცედურები გაიარონ.

უნდა ითქვას ისიც, რომ ბოლო დრომდე სისხლის მომარაგების ხელოვნური სისტემის შესაქმნელად სინთეტიკური მასალა გამოიყენებოდა, რაც გარკვეულწილად, ინფექციების გაჩენის რისკსაც ზრდიდა და არცთუ დიდხანს ძლებდა. აი, ახალი ტექნოლოგია კი ადამიანებს ძალიან გამძლე და უსაფრთხო სისხლძარღვებით დაასაჩუქრებს.

**medkarta.com**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მალარიის წამალი
2. ამფითეატრი რომში
3. მსახიობი ... ტორესი
4. საცალფეხო გზა ტყეში
5. ქვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპედია
6. ... კუზანოვი
7. იალქანი
8. მსახიობი ჯონი ...
9. მომღერალი ... ტატიშვილი
10. წყალქვეშა ჭურვი
11. სინთეზური ქსოვილი
12. მსახიობი ... სტრიპი
13. მსახიობი ... ასანტე
14. მომღერალი ... მინოუგი
15. ... მორჩილაძე
16. ქალაქი სამხ. აფრიკის რესპუბ.
17. ნახ. კუნძული ევროპაში
18. გარგანტუა და ...
19. კუნძული მალაის არქიპელაგში
20. კბილის დამცავი ფენა
21. სრუტე პა-დე-...
22. დიზაინერი ...-სენ ლორანი
23. მწერალი ალექსანდრე ...
24. მასობრივი საჯარო გამოსვლა
25. კომპოზიტორი მიქაელ ...
26. მხ/ფ „... მარჯვენა“
27. მსახიობი ... ბანდერასი
28. სილამაზის ქალღმერთი
29. თასმაზე ასხმული მძივები
30. აჭარული ცეკვა
31. „მეფე ერეკლე და ... ქალი“
32. სახელმწიფო აფრიკაში
33. შეძახილი ტკივილისას
34. კომში
35. ზაზა ... იგივე ზუზა
36. ალ. ტოლსტოის ფანტასტ. მოთხრობა
37. მისი დედაქალაქია ტოკიო
38. არწივანი და ...
39. ტბა კანადაში
40. მსახიობი ... გარბო
41. ქირურგის დანა
42. ზღვაოსანი ... და გამა
43. ექს-პრეზიდენტი ჯიმი ...
44. მადაგასკარის დედაქალაქი
45. ბერძნული ანბანის ასო
46. მომღერალი ... ჯონი
47. ინგლისური ლუდი
48. ქალაქი რუსეთში
49. მსახიობი შონ ...
50. ანაკოს პირველი ქმარი (ფილმიდან)
51. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
52. მომღერალი ... პაპალაშვილი
53. ქალაქი აშშ-ში
54. ჭადრაკის ფიგურა
55. საბუნებისმეტყველო მეცნიერება
56. წილადში: ... და მნიშვნელი
57. როვენას მიჯნური
58. ბელგიის დედაქალაქი
59. კომპოზიტორი ... ბაბაჯანიანი
60. აზერბაიჯანის ფულის ერთეული
61. სახელმწიფო ...-დივუარი
62. კრემიანი ნამცხვარი
63. შვედეთის დედაქალაქი
64. ნავი ზღვის პირას
65. ...
66. ქართ. ანბანის ბოლო ასო
67. გაუტკივარება მედიცინაში
68. მსახიობი მიშელ ...
69. ... ფიტცჯერალდი
70. შიიზმის მიმდევარი
71. „უდიპლომო სასიძოს“ წერილი
72. თხრილი ფრონტის ხაზზე
73. მსახიობი კეტრინ ...-ჯონსი
74. მხატვარი ელენე ...
75. ზღვაოსანი ... კოლუმბი
76. ჯორჯ კლუნის ფილმში „... 11 მეგობარი“
77. ქურდის ქურდი ...
78. გამზირი, ანუ ...
79. ესკიმოსების ნავი
80. წრუწუნას მეგობარი თაგვი
81. ცისარტყელას ფერი
82. ქალაქი საფრანგეთში
83. ... დაიჭირავს სიყვარულსა
84. იაპონიის ძველი დედაქალაქი
85. იტალიური ღვეზელი
86. „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ პერსონაჟი
87. პირის ღრუს თაღი
88. კავშირებითი სიტყვა
89. სალმა ჰაიეკის ფილმში
90. ჩვენი პლანეტა
91. გერმანული ავტომობილი
92. მწერლები ... და პეტროვი
93. ყელ-ყურის ექიმი
94. თვითნასწავლი მხატვრობა
95. ციხე-სიმაგრე დუშეთის რაიონში
96. აბლაბუდა, ანუ ობობის ...
97. ... არაბეთის როსტევან
98. ოდრი ტოტუს ფილმში
99. ლაშქარი
100. მწერალი ერიხ მარია ...
101. მხარე დას. საქართ.
102. კამათი, ბჭობა
103. სტადიონი რიოში
104. მსახიობი ... დევისი
105. თბილისის უბანი
106. მხ/ფ „... მზე“
107. ... ია
108. ძვირფასი ლითონი
109. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
110. მტაცებელი ცხოველი სავანაში
111. ქალის პატარა ხელჩანთა
112. ბოშათა საბჭოთა თეატრი
113. ბალერინა ირმა ...
114. ... გათენდების კორანი
115. მსახიობი ... მახარაძე
116. მსახიობი ... გრიფიტი
117. მწნილი
118. რეჟისორი ... ლი
119. გემის მზარეული
120. მინდვრის ყვავილი
121. ტიბეტური ხარი
122. ჯამი
123. ლეონარდო ... ვინჩი
124. პოეტი ... წერეთელი
125. მეტყველების ორგანო
126. სათლი
127. გარეული ფრინველი
128. ქალაქი აფხაზეთში
129. ფართო ქუჩა აშშ-ში
130. ჭიდაობას რა ...
131. წინაღობის ერთეული
132. ყურძნის ჯიში
133. წონის ძველი ერთეული
134. ბანდიტების დაჯგუფება
135. სახოტბო ლექსი
136. ქორო, ანუ ...
137. ჟამი
138. ვაზის ტოტი ორი მტევნით
139. ძველებური სამეჯლისო ცეკვა
140. თევზის კვერცხები
141. დედამიწის გუმბათი
142. სიგრძის ინგლისური ერთეული
143. ნაბიჯი ბალეტში
144. მომღერალი ... კალასი
145. მსახიობი ბენისიო ... ტორო

პასუხები: 1. ქინაქინა; 2. კოლიზეუმი; 3. კორაიმა; 4. ბილიკი; 5. კარაბადინი; 6. ივა; 7. აფრა; 8. დეპი; 9. ნოდიკო; 10. ტორპედო; 11. ნეილონი; 12. მერილ; 13. არმან; 14. კაილი; 15. აკა; 16. კეიპტაუნი; 17. იუტლანდია; 18. პანტაგრუელი; 19. სუმატრა; 20. ემალი; 21. კალე; 22. ივ; 23. დიუმა; 24. მანიფესტი; 25. ტარივერდიევი; 26. დიდოსტატის; 27. ანტონიო; 28. აფროდიტე; 29. კრიალოსანი; 30. განდაგანა; 31. ინგილო; 32. განა; 33. ვაი; 34. ბია; 35. კორინთელი; 36. „აელიტა“; 37. იაპონია; 38. არადანი; 39. ონტარიო; 40. გრეტა; 41. ლანცეტი; 42. ვასკო; 43. კარტერი; 44. ანტანანარივუ; 45. დელტა; 46. ელტონ; 47. ელი; 48. ტულა; 49. კონერი; 50. კია; 51. აგრა; 52. სოსო; 53. სიეტლი; 54. პაიკი; 55. ქიმია; 56. მრიცხველი; 57. აივენჰო; 58. ბრიუსელი; 59. არნო; 60. მანათი; 61. კოტ; 62. ეკლერი; 63. სტოკჰოლმი; 64. ბრიზი; 68. მერსიე; 69. ელა; 70. შიიტი; 71. კესარია; 72. სანგარი; 73. ზეტა; 74. ახვლედიანი; 75. ქრისტეფორე; 76. ოუშენის; 77. ცხონდაო; 79. უმიაკი; 80. ფიცხელა; 81. იისფერი; 82. ჰავრი; 83. ვერ; 84. ნარა; 85. პიცა; 86. ესმერალდა; 87. სასა; 88. რომ; 89. „ფრიდა“; 90. დედამიწა; 91. „ოპელი“; 92. ილფი; 93. ლარინგოლოგი; 94. ნაივი; 93. ანანური; 96. ქსელი; 97. იყო; 98. „ამელი“; 99. სპა; 100. რემარკი; 101. იმერეთი; 102. პოლემიკა; 103. მარაკანა; 104. ჯინა; 105. ელია; 106. უძინართა; 107. აი; 108. ოქრო; 109. მედინა; 110. ლომი; 111. რედიკიული; 112. „რომენი“; 113. ნიორაძე; 114. არ; 115. კოტე; 116. მელანი; 117. მარინადი; 118. ენგ; 119. კოკი; 120. გვირილა; 121. იაკი; 122. თასი; 123. და; 124. აკაკი; 125. ენა; 126. ვედრო; 127. წერო; 128. გაგრა; 129. ავენიუ; 130. უნდა; 131. ომი; 132. თითა; 133. ოყა; 134. ბანდა; 135. ოდა; 136. გუნდა; 137. დრო; 138. აკიდო; 139. სარაბანდა; 140. ქვირითი; 141. ცა; 142. იარდი; 143. პა; 144. მარია; 145. დელ. იკითხება: ქრიზანთემა.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



მეუღლე ალა ჯანჯღავა, შვილები გიორგი და ნიკოლოზ ჯანჯღავები, რძლები თეა მაისურაძე და ნინო მაღრაძე, შვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვაჟა (პოლიკარპეს ძე) ჯანჯღავა**

**პანაშვიდი:** 12, 13 ოქტომბერს;
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი №75, კორპუსი 5;
**გამოსვენება:** 14 ოქტომბერს, 14 საათზე, წმინდა ნინოს ეკლესიიდან, საბურთალოს სასაფლაო.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ქალები მამაკაცებზე დიდხანს აღარ ცოცხლობენო



ყოველთვის იმას ამბობდნენ, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები მამაკაცებზე დიდხანს ცოცხლობენ. ამის გამო, ხუმრობით ძლიერი სქესი ყოველთვის წუწუნებდა, თუმცა ხომ იცით, „ისეთი ხუმრობის დედა ვატირე, სიმართლე რომ არ ურევიაო“.

მოკლედ, მამაკაცებს რაღაცნაირად, შურდათ კიდეც ქალების, თუმცა ახლა უკვე ქალებს აქვთ საწუწუნოდ საქმე, დაახლოებით ასე: „იმდენი გვაყვედრეთ, უფრო მეტხანს ცოცხლობთ, უფრო გამძლეები ხართ, ახლა ჩვენც დაგვაკლდა წლებიო“.

მართლაც, სტატისტიკა ჯიუტად მეტყველებდა, რომ ქალები კაცებზე დიდხანს ცოცხლობენ.

ახლა კი საკითხი იაპონელმა მეცნიერებმა შეისწავლეს და დაადგინეს, რომ ძალიან მალე ორივე სქესის სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთმანეთს გაუთანაბრდება.

მიიჩნევა, რომ სხვაობა სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის ორი ძირითადი მიზეზით იყო განპირობებული: პირველ რიგში, ქალებს ბევრი სერიოზული დაავადებისას განსაკუთრებული ჰორმონალური ფონი შველის. და მეორე – მამაკაცები თავად არიან დამნაშავეები საკუთარი სიცოცხლის შემოკლებაში: ეწევიან, სვამენ, ნარკოტიკებს იკეთებენ, მუშაობენ სახიფათო წარმოებებში, დააქროლებენ მოტოციკლებს და ასე შემდეგ.

ახლა უკვე მამაკაცებს გაუჩნდათ შანსი, რომ იცოცხლონ იქამდე, სადამდეც ქალები ცოცხლობენ. მაგალითისთვის, დიდ ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი 87,1 წელია.

რამ გამოიწვია სტატისტიკის ამგვარი ცვლილება? სპეციალისტების განმარტებით, პირველ რიგში, ადამიანის შრომა უფრო ინტელექტუალური ხდება. შესაბამისად, იკლებს ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მძიმე პირობებში მუშაობენ. გარდა ამისა, მედიკოსების წყალობით, მცირდება მწეველებისა და გულ-სისხლძარღვთა და სხვა სერიოზული დაავადებების მსხვერპლთა რაოდენობა.

*myjane.ru*

## ნაყინი შაკიკის გაჩენას იწვევს?

საერთოდ, ბევრი სპეციალისტი ცდილობდა საკმაოდ დიდხანს, გაეგო, რატომ ხდება, რომ ცივი პროდუქტების მიღების შემდეგ, ადამიანს თავი სტკივდება.



ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ, დადგინდა, რომ ეს ეფექტი სავსებით კანონზომიერია. ამდენად, ფრთხილად იყავით, როცა ცხელ ამინდში პირს ცივი ნაყინით ჩაიტკბარუნებთ.

როგორც ირკვევა, მტკივნეული შეგრძნებები იმის გამო ჩნდება, რომ ცივი პროდუქტის მიღების შედეგად, იზრდება წნევა, რასაც, თავის მხრივ, ტვინის წინა არტერიაში სისხლის მიმოქცევის გაძლიერება იწვევს.

იმასთან ერთად, რაც პატარავდება არტერიის მოცულობა, უსიამოვნო შეგრძნებებიც ნელ-ნელა იკარგება.

სწორედ ასეთი შედეგი მიიღეს მეცნიერებმა მოხალისეებზე ჩატარებული დაკვირვების წყალობით.

მეცნიერების განმარტებით, „ცივი ტკივილის“ დახმარებით, ტვინი საკუთარი თავის დაცვას უზრუნველყოფს.

*myjane.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**14 ოქტომბერი:** საქმეების მდგომარეობას პესიმისტური თვალით შეხედეთ. ძალიან ბევრი რამე უნდა გაითვალისწინოთ, რომ საკუთარ თავს მოდუნებისა და თქვენი ნამოღვაწარით ტკბობის უფლება მისცეთ.

**კურო 22.04-21.05**
**14 ოქტომბერი:** შეიძლება თავი უსამართლოდ დაჩაგრულად ჩათვალოთ, მაგრამ სანამ ამას ხმამაღლა განაცხადებთ, დაფიქრდით, რა არის ამ უსიამოვნების მიზეზი. იქნებ რაღაცაა შესაცვლელი თქვენს ცხოვრებაში?

**ტყუპები 22.05-21.06**
**14 ოქტომბერი:** როგორც ჩანს, დღეს გზაზე არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდებათ. საკითხავი ის არის, გზა სწორად შეარჩიეთ თუ არა.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**14 ოქტომბერი:** ბოლო ხანს მაქსიმალური დატვირთვით იმუშავეთ და გადაიღალეთ. თუ საშუალება გაქვთ, დრო გამონახეთ და დაისვენეთ.

**ლომი 23.07-22.08**
**14 ოქტომბერი:** ნუ შეეცდებით ამა თუ იმ ადამიანზე შთაბეჭდილების ჩამოყალიბებას. განცდების გამო შეიძლება არაობიექტური იყოთ და შეცდეთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**14 ოქტომბერი:** დღეს პრობლემებს საკმაოდ ადვილად გაუმკლავდებით, ამიტომ შესაძლოა, მავანმა პრობლემები შეგნებულადაც კი შეგიქმნათ.

**სასწორი 23.09-22.10**
**14 ოქტომბერი:** ნუ დაიტანჯავთ თავს იმაზე ფიქრით, ვის რა და როგორ უთხრათ, რომ არ შერცხვეთ. ყველაფერს ისე იტყვით, როგორც საჭიროა.

**მორიელი 23.10-21.11**
**14 ოქტომბერი:** თქვენთვის ყველაზე დიდი ფასეულობა დრო იქნება. ამიტომ, შეეცადეთ, მაქსიმალურად რაციონალურად ხარჯოთ, განსაკუთრებით, დილით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**14 ოქტომბერი:** ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც დაგეგმეთ, უფრო, პირიქით იქნება. ამისთვის წინასწარ მოემზადეთ და გეგმები შესაბამისად შეცვალეთ და მიზანს მიაღწევთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**14 ოქტომბერი:** დღეს იმაზე მეტი გექნებათ, ვიდრე მოინდომებთ. კარგი იქნება, თუ მიმოიხედავთ და ნამეტს სხვებსაც გადაუნაწილებთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**14 ოქტომბერი:** შეიძლება დღეს ბევრი ფიზიკური და სულიერი ენერგია დახარჯოთ იმაზე, რაც სინამდვილეში ილუზიაა. რეალურად შეხედეთ ყველაფერს.

**თევზები 19.02-20.03**
**14 ოქტომბერი:** პრობლემის საფუძველი მოძებნეთ, დღეს ამის გაკეთება კიდევ შესაძლებელია. შემდგომში პრობლემა შეიძლება გაღრმავდეს და აღარაფერი ეშველება.

## ანორექსია შესაძლოა, ტვინის ანომალიით იყოს გამოწვეული



ახალი კვლევის შედეგების თანახმად, ანორექსია, ანუ მადის შენარჩუნების პარალელურად სრულფასოვან კვებაზე ნებაყოფლობითი უარის თქმა, შესაძლოა, თავის ტვინის დეფექტს უკავშირდებოდეს.

მეცნიერების განმარტებით, ნოვატორული კვლევებითა და ტვინის მოქმედების ვიზუალიზაციის მძლავრი მეთოდების გამოყენებით, სავსებით შესაძლებელია ამ უსიამოვნებასთან გამკლავება.

კვლევების დახმარებით დადგინდა, რომ ადრეულ ასაკში წარმოქმნილ თავის ტვინის პრობლემებს ანორექსიის გამოწვევა შეუძლია.

პროფესორი ბრაიან ლასკი და მისი ჯგუფი საკითხზე რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა და სკანირების უახლესი მეთოდების გამოყენებით აღმოაჩინა, რომ ტვინის განყოფილებაში, რომელიც პასუხისმგებელია საკვების მიღებაზე, მღელვარებასა და საკუთარი სხეულის აღქმაზე, ანომალიები შეიმჩნევა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ეს ანომალიები ნარჩუნდება იმ შემთხვევაშიც კი, როცა ადამიანი წონის აღდგენას ახერხებს. ამდენად, ნათელი ხდება, რომ პრობლემა ჯერ კიდევ დაავადების განვითარებამდე არსებობს. მეორე მხრივ, კვლევამ ისიც ცხადყო, რომ ყველაფერთან ერთად, ანორექსიის განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა რთული სიტუაცია.

ექიმები იმედოვნებენ, რომ კვლევის დახმარებით მიღებული შედეგები დაარეგულირებს კამათს იმასთან დაკავშირებით, თითქოს ანორექსიას საკუთარი სხეულისა და საკვების სიძულვილი იწვევს.

*pronowosti.ru*

## კუჭის დაპატარავებას დიაბეტის დამარცხება შეუძლია?

მოცემული მომენტისთვის კუჭის დაპატარავების ოპერაციას უტარებენ იმ ადამიანებს, რომლებსაც ზედმეტი წონის მოცილება სურთ. თუმცა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ აღნიშნული ოპერაცია დაეხმარება იმ ადამიანებსაც, რომლებიც მე-2 ტიპის დიაბეტის მსხვერპლნი არიან.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ შემთხვევათა 80 პროცენტში ოპერაცია წარმატებულ შედეგებს იძლევა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა რომის სამედიცინო უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს, რომელშიც 60 ადამიანი იყო ჩართული და რომლებსაც გასუქების ფონზე მე-2 ტიპის დიაბეტი ჰქონდათ განვითარებული.

პირველ ჯგუფში შედიოდნენ მოხალისეები, რომლებსაც კუჭის დაპატარავების ოპერაცია ჰქონდათ გაკეთებული, ხოლო მეორე დაკომპლექტებული იყო პაციენტებისგან, რომლებიც მედიკამენტოზურ მკურნალობას გადიოდნენ.

შედეგები ყველასთვის მოულოდნელი და განსაცვიფრებელი აღმოჩნდა: პირველი ჯგუფიდან ისინი, ვისაც დიაბეტი 10 წელზე ნაკლებ ხანს ჰქონდათ, შემთხვევათა 80 პროცენტში სრულად განიკურნენ. ხოლო ვისაც დიაბეტი 10 წელზე მეტხანს ჰქონდათ, დადებითი შედეგი შემთხვევათა 40 პროცენტში მიიღეს.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მათგან არც ერთი არ განკურნებულა.

*wabmobi.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ქმარი სამსახურში წასასვლელად ემზადება და ცოლს ეკითხება:
– პიჯაკი გაწმინდე?
– კი, ძვირფასო.
– შარვალი?
– შარვალიც.
– და ფეხსაცმელები?
– რა, ფეხსაცმელებზეც გაქვს ჯიბეები?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.30